# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფრთხილობით და კრძალვით ხელის გატანა ყველა უპირატესობაზე უსაჭიროესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 27 დეკემბერი, 2011 წელი.

№242 (6873)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახური

## ბიძინა ივანიშვილს რუსეთის მოქალაქეობა შეუწყდა

ბიძინა ივანიშვილი აღარ არის რუსეთის მოქალაქე. რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის საელჩოსგან გუშინ მიიღო.

რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის თხოვნით ბიძინა ივანიშვილმა 17 ოქტომბერს ოფიციალურად მიმართა საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას.

ამ დროისათვის ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის საქართველოს მოქალაქეობის საკითხს, თბილისის საქალაქო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს გამოიტანს.



ПОСОЛЬСТВО ШВЕЙЦАРИИ В ГРУЗИИ СЕКЦИЯ ИНТЕРЕСОВ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

к Административному регламенту исполнения государственной функции по вопросам гражданства

№: 142054235

СПРАВКА

о прекращении гражданства Российской Федерации

«26» декабря 2011 г.
(дата выдачи справки: число, месяц прописью, год)

Настоящим удостоверяется, что решением

Посольство Швейцарии в Грузии Секция интересов Российской Федерации
(указать полномочный орган, принявший решение)

«26» декабря 2011 г.
(указать дату принятия решения)
разрешен выход из гражданства Российской Федерации

следующему лицу:

Иванишвили Бидзина Григорьевич,
(фамилия, имя, отчество в именительном падеже, дата и место рождения)

родился 18.02.1956 г., Грузинская ССР, Сачхерский р-н, с. Чорвила

РУКОВОДИТЕЛЬ КОНСУЛЬСКОЙ СЛУЖБЫ ПОСОЛЬСТВО ШВЕЙЦАРИИ В ГРУЗИИ СЕКЦИЯ ИНТЕРЕСОВ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ В ГРУЗИИ
(должность руководителя учреждения или иного должностного лица)

М.П.

А. А. БЕЛОВ
(подпись, инициалы, фамилия)

**ირაკლი სესიაშვილი:**



## „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე იყვნენ ისინიც, ვინც სახელობით არ დაგვიპატიჟებია

③

**ზურაბ აბაშიძე:**



## თუ მაღალხარისხოვან არჩევნებს ჩავატარებთ, მომავალი წლის ბოლოსთვის, ალბათ, უკეთეს ქვეყანაში აღმოვჩნდებით

⑥



## რუსეთი დუმს საქართველოსთვის ამერიკის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებით

⑤

## მიზეზი, რის გამოც რომის ქუჩა ჩაბნელებულია, თბილისის რუსთაველი კი – „ლუსტრირებული“

②



## როდის ამბობს მართალს რეზო ჭეიშვილი?..

③

## კიდევ ერთი სენსაციური ფაქტი ქართული ციტრუსის ირგვლივ

④



**უკრაინელი კრიმინალები ქართულ ციტრუსზე დიდ ფულს შოულობენ**

## პრესის გავრცელების სააგენტოების: მაცნეს, პლანეტა-ფორტეს და ელვასერვისის განცხადება

პრესის გამავრცელებელი კომპანიები ითვალისწინებენ და იზიარებენ ქ. თბილისის მერიის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონებში მონაწილე და გამარჯვებული სუბიექტების (აღნიშნული დაადასტურა გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2011 წლის 19 დეკემბრის №51-ში კომპანია „პოულტრი ჯორჯიას“ მიერ გაკეთებულმა განცხადებამ) წინადადებებს და აკეთებენ შემდეგ განცხადებას:

ქალაქის ტერიტორიიდან აღებული იქნა პრესის გამავრცელებელი კომპანიების სს „მაცნეს“, შპს „პლანეტა ფორტესა“ და შპს „ელვასერვისის“ კუთვნილი ჯიხურები, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა პრესის გავრცელებას ქალაქ თბილისში.

2011 წლის 28 დეკემბერს გამოცხადებულ მე-80 აუქციონზე ძირითადად გამოტანილია სს „მაცნეს“, „პლანეტა-ფორტესა“ და „ელვასერვისის“ კუთვნილი ჯიხურების განთავსების ადგილები.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ გამოგვიცხადონ სოლიდარობა და არ მიიღონ მონაწილეობა იმ ლოტებში, რომლებიც ემთხვევა მერიის მიერ აღებული პრესის გამავრცელებელი ჯიხურების განთავსების ადგილებს, კერძოდ:

სს „მაცნე“ ლოტი №№:7,8,9,10,11,12,13,15,16, 18,19,23,24,25;
შპს „ელვასერვისი“ ლოტი №№14,17,21;
შპს „პლანეტა-ფორტე“ №№3,6,26.

შემდეგ აუქციონებში მონაწილეობის შესახებ სისტემატიურად მოგაწვდით ინფორმაციას.

# გამოკითხვა, გამოკვლევა

## ინტერნეტგამოკითხულთა უმრავლესობა 2011 წლის საუკეთესო პოლიტიკოსად ბიძინა ივანიშვილს ასახელებს

**„პირველის“ მიერ 17-25 დეკემბრის პერიოდში ჩატარებულ ინტერნეტ-გამოკითხვაში სულ 3724 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.**

პასუხები კითხვაზე, „თქვენი აზრით, ვინ არის 2011 წლის საუკეთესო პოლიტიკოსი?“ შემდეგნაირად გადანაწილდა: ბიძინა ივანიშვილი — 1287 (34.56%ძ; მიხეილ სააკაშვილი — 429 (11.52%ძ; ბაჩუკი ქარდავა — 273 (7.33%ძ; დავით გამყრელიძე — 246 (6.61%ძ; ირაკლი ალასანია — 239 (6.42%ძ; არც ერთი — 189 (5.08%ძ; გიორგი თარგამაძე — 141 (3.79%ძ; ნინო ბურჯანაძე — 101 (2.71%ძ; კახა კუკავა - 76 (2.04%ძ; გუბაზ სანიკიძე — 70 (1.88%ძ; პაატა დავითაია — 69 (1.85%ძ; კახა შარტავა — 58 (1.56%ძ; შალვა ნათელაშვილი — 58 (1.56%ძ; დავით უსუფაშვილი — 55 (1.48%ძ; გიგა ბოკერია — 54 (1.45%ძ; რევაზ შავიშვილი — 50 (1.34%ძ; თემურ შაშიაშვილი — 48 (1.29%ძ; ირაკლი ოქრუაშვილი — 45 (1.21%ძ; სხვა — 44 (1.18%ძ; გიგი უგულავა 37 (0.99%ძ; დავით ბაქრაძე — 32 (0.86%ძ; ზვიად ძიძიგური — 27 (0.73%ძ; ლევან ბერძენიშვილი — 20 (0.54%ძ; ლევან გაჩეჩილაძე — 20 (0.54%ძ; გიორგი გაჩეჩილაძე — 17 (0.46%ძ; სოზარ სუბარი — 12 (0.32%ძ; ლევან ვეფხვაძე — 8 (0.21%ძ; მამუკა კაციტაძე — 8 (0.21%ძ; დავით ბერძენიშვილი — 7 (0.19%ძ; კობა დავითაშვილი — 4 (0.11%ძ.

## დაასახელეს 2011 წლის საუკეთესო პოლიტიკოსი და საუკეთესო ექსპერტი

**ინტერნეტგამოკითხულთა უმრავლესობა 2011 წლის საუკეთესო ექსპერტად სოსო ცისკარიშვილს ასახელებს.**

**„პირველმა“ 17-25 დეკემბრის პერიოდში ჩატარებული ინტერნეტგამოკითხვის ფარგლებში სულ 3030 რესპონდენტი გამოკითხა.**

კითხვაზე, „თქვენი აზრით, ვინ არის 2011 წლის საუკეთესო ექსპერტი?“ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოსო ცისკარიშვილი — 442 (14.59%ძ; გიორგი თავდგირიძე — 386 (12.74%ძ; გია ხუხაშვილი — 346 (11.42%ძ; ლადო პაპავა — 324 (10.69%ძ; მამუკა არეშიძე — 266 (8.78%ძ; რამაზ საყვარელიძე — 175 (5.78%ძ; არც ერთი — 173 (5.71%ძ; ირაკლი სესიაშვილი — 122 (4.03%ძ; ალექსანდრე რონდელი — 107 (3.53%ძ; სოსო ცინცაძე — 103 (3.4%ძ; ზაზა შათირიშვილი — 55 (1.82%ძ; თენგიზ ფხალაძე — 53 (1.75%ძ; იაგო კაჭკაჭიშვილი — 52 (1.72%ძ; გია ნოდია — 49 (1.62%ძ; ზურაბ აბაშიძე — 49 (1.62%ძ; ზაზა ფირალიშვილი — 42 (1.39%ძ; სხვა — 42 (1.39%ძ; ვაჟა ბერიძე — 41 (1.35%ძ; დემურ გიორხელიძე — 35 (1.16%ძ; ვალერიან გორგილაძე — 33 (1.09%ძ; მიხეილ თავხელიძე — 23 (0.76%ძ; დავით ნარმანია — 21 (0.69%ძ; ვასილ ჭყოიძე — 19 (0.63%ძ; გიორგი მელითაური — 12 (0.4%ძ; ემზარ ჯგერენაია — 12 (0.4%ძ; კახა გოგოლაშვილი — 12 (0.4%ძ; ნიკა ჩიტაძე — 11 (0.36%ძ; ლევან ჯაფარიძე — 10 (0.33%ძ; ნოდარ ლადარია — 10 (0.33%ძ; გოგი ხუციშვილი — 5 (0.17%ძ.

## MERCER-ის კვლევის მიხედვით, ევროპაში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე თბილისშია

**ასეთი შედეგი აჩვენა ადამიანური რესურსების კონსულტირების, კვლევებისა და საგამოძიებო მომსახურების გლობალური კომპანიის Mercer-ის კვლევამ. Mercer-ის გამოკვლევის თანახმად, ევროპაში და მთლიანად მსოფლიოში, ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ვენაშია. ევროპაში მეორე და მესამე ადგილებზე ციურიხი და მიუნხენი გავიდნენ. შემდეგ კი ჩამონათვალში დიუსელდორფი, ფრანკფურტი, ჟენევა, ბერნი და კოპენჰაგენი არიან. პირველ ოცდაათეულში ასევე მოხვდნენ ამსტერდამი, ჰამბურგი, ბერლინი, ლუქსემბურგი, სტოკჰოლმი, ბრიუსელი, ნიურნბერგი, დუბლინი და პარიზი.**

— ევროპის ყველაზე დაბალმაჩვენებლიანი ქალაქი თბილისია — 214-ე ადგილი, — აღნიშნავს **Mercer**-ის ვებგვერდი.

აღნიშნულ 214-ე ადგილზე თბილისი მსოფლიო ქალაქების 221-ადგილიან ჩამონათვალში გავიდა. ამ ჩამონათვალში ბოლო ადგილზე ერაყის დედაქალაქი ბაღდადია. თუმცა, ევროპის მასშტაბით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისმა მიიღო.

**Mercer**-მა ასევე გამოიკვლია ქალაქებში პირადი უსაფრთხოების მაჩვენებელი. პირველ ადგილზე ლუქსემბურგი აღმოჩნდა. მას ბერნი, ჰელსინკი და ციურიხი მოჰყვებიან. აღმოსავლეთ ევროპაში პირადი უსაფრთხოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ლუბლიანამ და პრაღამ მიიღეს. მოსკოვი ამ ჩამონათვალში 199-ე ადგილზე გავიდა. თბილისი კი პირადი უსაფრთხოების რეიტინგშიც ევროპის ქალაქებს შორის ყველაზე ბოლო ადგილზე მოხვდა, რაც მთელი მსოფლიოს ქალაქების ჩამონათვალში 215 ადგილია.

**Mercer**, რომელსაც მსოფლიოს 40 ქვეყანაში 20 ათასზე მეტი თანამშრომელი ჰყავს, ცხოვრების დონეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ითვლის — პოლიტიკური და სოციალური გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალ-კულტურული გარემო, სამედიცინო და ჯანდაცვის პირობები, სკოლა და განათლება, ბუნებრივი გარემო, საჯარო მომსახურება და ტრანსპორტი, რეკრეაცია, სამომხმარებლო საქონელი, სახლის პირობები.

პირადი უსაფრთხოების მაჩვენებელს კი კვლევითი კომპანია შიდა სტაბილურობის, კრიმინალის დონის, კანონის განხორციელების ეფექტიანობის და ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების მიხედვით ითვლის.

◎ ფაქტი ჯიუტია!

# რად გვინდა ის გზა, რომელიც...

## ანუ მიზეზი, რის გამოც რომის ქუჩა ჩაბნელებულია, თბილისის რუსთაველი კი – „ლუსტრირებული“

**ყველა გზა რომში მიდისო, გვასწავლის ერთი ფრთიანი ფრაზა. მაგრამ „მონანიების“ ფინალური სცენისა არ იყოს, რა საჭიროა გზა, თუ ის ტაძართან არ მიგვიყვანს?!**

**ჩემდა უნებლიეთ ეს გამახსენდა „რუსთავი-2“-ის გუშინწინდელი „პოსტკრიპტუმის“ ბოლო სიუჟეტის ყურებისას.**

წამყვანი წინასაშობაო რომზე მოგვითხრობს და, რომელიც, მისივე თქმით, შობას თურმე მუდამ პომპეზურად და დიდი ზეიმით ხვდებოდა, წლეულს კი, კრიზისის გამო, იგი ამ ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს შედარებით მოკრძალებულად ეგებებაო.

თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მან ორი რესპონდენტის ნაუბარიც მოიშველია:

**— მაღაზიები ცარიელია, ხალხი ვერაფერს ყიდულობსო,** — თქვა რომის მკვიდრმა ერთმა ქალბატონმა.

**— ეს ქუჩა ადრე სულ განათებული იყო, ახლა კი მთავრობა, ალბათ, ფულს ზოგავსო,** — ეს იმ ქალბატონის თანაქალაქელმა მამაკაცმა უთხრა რუსთავიორელს.

**და, აჰა, ის მიზეზი, რის გამოც პირადად მე არ მინდა, ყველა კი არა, არც ერთი გზა, რომელიც რომში მიდის, რის გამოც შობის დღეს რომის ქუჩა ჩაბნელებულია, თბილისის რუსთაველის პროსპექტი კი შობამდე ერთი თვით ადრე — ერთიანად „ლუსტრირებულ-გაჩირაღდნებული: ეს მიზეზია იქაური ხელისუფლება-მთავრობის უნიათობა-უთაობა და ჩვენებურის მდგრადობა-ჩამოუშლელობა.**

**არც ახლა ირწმუნებთ და კვლავ უგუნურ ტრაბახად ჩათვლით სააკაშვილის ნათქვამს — ევროპაში საუკეთესო, მობილური და ჩამოუშლელი მთავრობა გვყავსო?**

თქვენი ნებაა, შეგიძლიათ, არ დაიჯეროთ, მაგრამ ფაქტი რომ ჯიუტია?

**იტალიას ამ ბოლო დრომდე არასერიოზული, მექალთანე და გაუწონასწორებელი კაცი — სილვიო ბერლუსკონი რომ ედგა სათავეში, იმადაც სჭირთ იქაურებს, რაცა სჭირთ, ჩვენ კი, მისგან რადიკალურად განსხვავებული ხელისუფალის წყალობით, მართლაც დემოკრატიის შუქურა, მდგრადად განვითარებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ამადაცაა ჩვენი რუსთაველი, რომის ჩაბნელებული ქუჩისგან განსხვავებით, განათებულ-გაბრდღვიალებული.**

**ამიტომაც არის, რომ იტალიაში საშობაოდ ცხვირ-პირი ჩამოსტირით, ჩვენთან კი, საამური ცხოვრების გამო, ისეთი სიხალისე და იდილიაა, რომ ევროპელი შემოქმედნი, ბრმანი თუ თვალახელილნი, ახალი წლის ღამის შესახვედრად აქამდეც ჩვენთან გამორბოდნენ და ახლაც გამორბიან (მაგალითისთვის მარტო ბოჩელის შარშანდელი საახალწლო კონცერტი კმარა და წლევანდელიც, რომელიც ხულიო იგლესიასის მონაწილეობით კვლავ ბათუმში გაიმართება!).**

**ასეა, ბატონებო, იქ, მავანთათვის იმ საოცნებო ევროპაში, ხალხის გუნება-განწყობის არაფრად ჩაგდებითა და ქუჩების ჩაბნელებით აპირებენ ფულის დაზოგვას, ჩვენთან კი ლას-ვეგასს რომ შეშურდება, ისეთი განათება და ერთი გაუთავებელი ტაშ-ფანდურა ლონისძიებებია.**

**აი, ესაა ფაქტი, ჯიუტი ფაქტი, ბატონებო!**

**ნინო ქორჩილავა**

◎ დღევანდელობა

# როსტომ მეფის სასახლე პოლიტიკურ მიზნებს ეწირება

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრ ორგანიზაციასა თუ დაწესებულებას, რომელიც ამ პიროვნების სახელს პირდაპირ თუ უშუალოდ უკავშირდება, პრობლემები შეექმნა. ამჯერად სამიზნე როსტომ მეფის სასახლეზეა. ამ სასახლის შესახებ არსებული დავის გამო „ქართული ოცნების“ ოფისში ადვოკატებმა ეკა ბესელიამ და არჩილ კბილაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს.**

როსტომ მეფის სასახლე რომელიც თბილისში ერეკლე II მოედანი, №3-ში მდებარეობს, შპს „ახალი კაპიტალის“ კუთვნილებაა. იგი „ქართუ ჯგუფში“ შემავალი კომპანიაა. ადვოკატთა განცხადებით, სწორედ ეს გახლავთ ამ სასახლის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის მიზეზი.

ადვოკატებმა როსტომ მეფის სასახლესთან დაკავშირებული სადავო საკითხები 4 ჯგუფად დაყვეს: თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ როსტომ მეფის სასახლის მშენებლობის შეჩერება; თბილისის მერიის მიერ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის უფლების გაუქმება; სასახლის ტერიტორიაზე უცხო პირების შეჭრა და ასევე როსტომ მეფის სასახლის წინ უკანონოდ ხის კონსტრუქციის აღმართვა.

ხელისუფლებას სურს პოლიტიკურ მიზნებს შესწიროს ეს სასახლე. სხვა ვერაფერს ვუწოდებთ იმ ქმედებებს, რასაც ისინი ამ სასახლეს უქადიან.

„ახალმა კაპიტალმა“ 2011 წლის 11 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის ზედამხედველობის სამსახურს და სთხოვა როსტომ მეფის სასახლის ვარგისად აღიარება. ზედამხედველობის სამსახურმა გადაწყვეტილების მიღების ვადის ამოწურვამდე, არავითარი აქტი არ გამოსცა, რის გამოც, სასახლე ვარგისად ჩაითვალა. მაგრამ ადვოკატთა განცხადებით, სწორედ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის გამო, 26 ოქტომბერს ზედამხედველობის სამსახურმა მშენებლობა საერთოდ შეაჩერა, ანუ ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ ამ სასახლეში არ განთავსდეს „ქართული ოცნების“ ოფისი.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების გაუქმების მოთხოვნით, 2011 წლის 8 ნოემბერს თბილისის მერიაში ადვოკატებმა საჩივარი შეიტანეს. ისინი ვარაუდობენ, რომ მერიაში შეტანილ საჩივარს არავითარი რეაგირება არ მოყვება, მაგრამ, მათი თქმით, ეს სავალდებულო პროცესია, რათა შემდეგ სასამართლოში შევიდეს საჩივარი.

ეკა ბესელიასა და არჩილ კბილაშვილის განცხადებით, ისინი ასევე გეგმავენ ამ კვირაში სარჩელის შეტანას სასამართლოში როსტომ მეფის სასახლეში უკანონოდ შეჭრილ პირთა გამოსახლების მოთხოვნით, ასევე სარჩელი შეაქვთ პოლიციის უმოქმედობის გამო, რადგან ისინი არავითარ რეაგირებას არ ახდენენ შენობაში უკანონოდ შეჭრილ პირთა მიმართ.

ეკა ბესელიას განცხადებით, ყოველივე ეს იძლევა ეჭვის გამოთქმის საფუძველს, რომ როსტომ მეფის სასახლის ირგვლივ პრობლემები სახელმწიფო ორგანოს მიერ ხელოვნურად არის შექმნილი. მათი მოთხოვნაა: დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს კანონიერ მესაკუთრეს როსტომ მეფის სასახლით სარგებლობის უფლება. და ხელისუფლებამ შეწყვიტოს პოლიტიკური დევნის მიზნით საკუთრების ხელყოფა.

**ლია გრიგოლია**

◎ ინფორმაცია

# „პალიტრამედიამ“ შალვა ნათელაშვილს სასამართლოში უჩივლა

**„პალიტრამედიამ“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცრუ ცნობების გავრცელებისთვის საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს სასამართლოში უჩივლა, — ამის შესახებ ნათქვამია „კვირის პალიტრის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**„პალიტრამედიის“ ადვოკატის ზვიად კორძაძის განცხადებით, შალვა ნათელაშვილს საკუთარი სიტყვების უკან წაღება, ან მის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის დამტკიცება მოუწევს.**

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა რამდენიმე მედიასაშუალების მეშვეობით „პალიტრამედიას“ სხვადასხვა სახის ბრალდებები წაუყენა.**

**მისი განცხადებით — „მედიაჰოლდინგს“ ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს და „ქართუ“ ბანკიდან ჰოლდინგის ანგარიშებზე წლების განმავლობაში მილიონებია გადარიცხული“. გარდა ამისა, ნათელაშვილი „პალიტრამედიას“ „საბურთალოს ქუჩაზე სკოლის შენობის მითვისებაშიც“ ადანაშაულებს.**

**როგორც „პალიტრამედიის“ ადვოკატი ზვიად კორძაძე აღნიშნავს, „პალიტრამედიას“ არ აქვს ვალდებულება, თავი იმართლოს შალვა ნათელაშვილის განცხადებებზე, თუმცა, ადვოკატის განმარტებით, შენობა, რომელიც შალვა ნათელაშვილის მტკიცებით, „კვირის პალიტრამ“ „ბავშვებს წაართვა“, სკოლის კუთვნილება არასოდეს ყოფილა.**

**„შენობა, სადაც ამჟამად „პალიტრის“ ოფისია, 1984 წელს არის აშენებული და საპროექტო იყო. თანაც, „კვირის პალიტრას“ არც ამ შენობის პრივატიზება მოუხდენია და არც სახელმწიფოსგან მიუღია რომელიმე სხვა ფორმით. ეს შენობა „კვირის პალიტრამ“ კერძო პირებისგან შეიძინა „თიბისი ბანკის“ კრედიტით. თანაც „პალიტრამედიას“ ოფისი იოსებიძის ქუჩაზეა და არა საბურთალოს ქუჩაზე. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისგან მილიონობით თუ ასიათასობით მიღებულ დაფინანსებას, ესეც შალვა ნათელაშვილის სამტკიცებელი ტვირთია. „პალიტრამედიაში“ ივანიშვილისგან გადმორიცხული მილიონები არავის უნახავს და შალვა ნათელაშვილს თუ აქვს ამგვარი დოკუმენტი, გვიჩვენოს.**

ინტერპრესნიუსი

ვებრძოლოთ სახელისუფლებო რადიკალიზმს

# „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე იყვნენ ისინიც, ვინც სახელობით არ დაგვიპატიჟებია



**ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მან, როგორც გამგეობის წევრმა, შესვლა ვერ მოახერხა, რადგან დასწრების მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, საკუთარი მოსაწვევი რიგით მოქალაქეს გადასცა. Presage.tv ესაუბრება ირაკლი სესიაშვილს.**

**— „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შემდეგ ზოგიერთებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს იქ მოწვეულნი იყვნენ ძველი სახეები. რამდენად მომგებიანი იყო ბიძინა ივანიშვილისთვის ხელისუფლების თვალში პრორუსულ ძალებად მიჩნეული ვალერი კვარაცხელიას და სხვათა გამოჩენა?**

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ამ მოძრაობის კარი ყველასთვის ღიაა. ნებისმიერ ადამიანს, ვინც აქ მოვა, მისი პოლიტიკური თუ საგარეო ორიენტირისა და შეხედულების მიუხედავად, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ამ მოძრაობის მხარდამჭერი გახდეს. რაიმე კანონიერი შეზღუდვა არ არსებობს, არც წესდებით, არც შესაბამისი კანონმდებლობით. ამიტომ, ჩვენს მიმართ გარკვეული, დავარქვათ პრეტენზიები, თავისთავად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს. ეს კარი ყველასთვის ღიაა.

რაც შეეხება პრეზენტაციაზე მობრძანებულ ადამიანებს, ერთი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქვეყანა ყველასია, ყველა ჩვენი მოქალაქის, და ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ საჯარო ღონისძიებებში, რომელიც იმართება. დიახ, ამ პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სტუმრები და, ასევე, მოწვეულნი იყვნენ რიგითი მოქალაქეები და ჩვენ ამ რიგითი მოქალაქეების წარსულის ანალიზით არ ვიყავით დაკავებული.

ბევრი მათგანი ჩვენს სტუმართა სიაში არც ყოფილა. თუმცა ის მოსაწვევები, რომლებიც მოქალაქეებზე გავეცით, მათ შორის, — რეგიონებზეც, შეეძლოთ გამოეყენებინათ. თუკი რომელიმე მათგანმა ეს მოსაწვევები მოიპოვა, ვინმეს გამოართვა ან მის ნაცვლად პრეზენტაციაზე წამოვიდა, ეს ჩვენი განსახილველი არ არის. რიგ შემთხვევაში, აქ ხელისუფლება ეწევა პროპაგანდას და ცდილობს, ესა თუ ის, მათი აზრით, უარყოფითი, საზოგადოებაში ნეგატიური იმიჯის მქონე ადამიანი, ბიძინა ივანიშვილის გუნდთან გააიგივოს, რაც აბსოლუტურად არასწორია. იმიტომ, რომ არსებული გუნდი თქვენთვის ასე თუ ისე ცნობილია, თუმცა პოლიტიკური პარტია ბატონ ბიძინას ჯერ არ შეუქმნია, ამაზე მიმდინარეობს მუშაობა და სწორედ უკვე პოლიტიკური პარტიის შექმნის შემდგომ მოხდება იმ პოლიტიკური გუნდის წარმოჩენა, რომლითაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, ეს ადამიანები არიან ჩვენი მოქალაქეები, მათ სურვილი გამოთქვეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ ღონისძიებაში. ზოგიერთმა მოიპოვა ჩვენი მოსაწვევი, ზოგიერთი კი ჩვენ თვითონვე უშუალოდ სახელობით დავპატიჟეთ. დაახლოებით 600 ადამიანი სახელობით დავპატიჟეთ, სულ 2400 ადამიანი იყო მოწვეული, თუმცა გაცილებით მეტი მოვიდა.

დანარჩენი იყო სახელობის გარეშე, რადგან სტუმრები - დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ეროვნული უმცირესობები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეები, ჩვენ სახელობით დავპატიჟეთ; მაგრამ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებისთვისაც უბრალოდ მოსაწვევები დავარიგეთ რეგიონებში, ქუჩაში. მაგალითად, მე ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრი ვარ, მაგრამ არ შევსულვარ პრეზენტაციაზე, იმიტომ, რომ დასწრების მოთხოვნილება დიდი იყო და ჩემი მოსაწვევი რიგით მოქალაქეს, რომელმაც მთხოვა ამ პრეზენტაციაზე დასწრება, იქვე გადავეცი.

**— პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ „სახალხო კრების“ წევრები, მაგრამ არ ყოფილა ნინო ბურჯანაძე. ამით რისი თქმა გინდოდათ?**

— ჩვენ არ ვყოფთ საზოგადოებას ამისიანებად და იმისიანებად. მით უმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან. „ქართული ოცნება“ არის მოძრაობა, მას ზეპარტიული მიზნები და ამოცანები აქვს. ჩვენი სურვილია, ამ მოძრაობის ფარგლებში გავაერთიანოთ ყველა ის მოქალაქე, რომელსაც „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის სურვილი ექნება. ბევრი ადამიანი, ვინც იქ მოვიდა, მოვიდა თავისი ნება-სურვილით. შეიძლება, ზოგს უბრალოდ მოსმენა უნდოდა, თუ რა იყო „ქართული ოცნება“. ზოგს შეიძლება სიმპათიები გააჩნდა ამ ორგანიზაციის მიმართ და სურდა, მხარდამჭერი გამხდარიყო. ასე რომ, კონკრეტულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩვენთვის არ არსებობს ასეთი მიდგომა, ის არის იმის კაცი, ეს არის ამის კაცი. რაც შეეხება გუნდს, იქ უკვე, რა თქმა უნდა, მოხდება ბატონი ბიძინას ან ზოგადად გუნდის დამოკიდებულების გამომჟღავნება.

**— ვინ უნდა გაერთიანდეს ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში, სამომავლოდ კიდევ უფრო გაფართოვდება თუ არა კოალიცია და, აწყობს კი ამ კოალიციას, უფრო ფართოდ იყოს წარმოჩენილი?**

— იცით, რომ ბატონი ბიძინა საქართველოს მოქალაქე არაა. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, იმედი გვაქვს, მოქალაქეობა აღუდგება და შეძლებს პოლიტიკური პარტიის შექმნას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მიიღებს თუ არა მოქალაქეობას, პოლიტიკური პარტია მაინც შეიქმნება. განსხვავება შეიძლება ის იყოს, რომ ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ არ იყოს ამ პარტიის წევრი, რადგან ამას კანონმდებლობა კრძალავს, მაგრამ ასოცირებული წევრი ნამდვილად იქნება. ამის შემდგომ უკვე პოლიტიკური პროცესი უფრო აქტიურ ფაზაში შევა და ამ პოლიტიკურ პროცესში როგორც სტრატეგიული პარტნიორები, ისე სხვა პარტნიორები გამოჩნდებიან. ცხადია, საზოგადოებას ექნება საშუალება, კონკრეტულად შეაფასოს სიტუაცია.

ზოგადი მიდგომაა, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ ყველა არსებული, ღირსეული პოლიტიკური ძალის ერთ მუშტად შეკვრა. ფორმები შეიძლება განსხვავებული იყოს: ზოგიერთი შეიძლება შემოვიდეს პარტიის სახით, როგორც ვთქვათ, „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“. ზოგიერთი შეიძლება პიროვნულად გახდეს ამ პოლიტიკური კოალიციის წევრი, ზოგი კი სხვა ფორმით შემოვიდეს, ამას ვერ გეტყვით.

**— გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებამ საკუთარი კადრები შემოგაპაროთ, როგორც თუნდაც „შეფიცულთა რაზმში“ შეაპარეს?**

— ჩვენ იდეისა და მიზნის გარშემო ვერთიანდებით. ხელისუფლებას ბევრი არაკანონიერი ზრახვა ამოძრავებს და ყოველდღიურად ვხედავთ პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ როგორ ხდება სახელისუფლო რესურსის უკანონოდ გამოყენება. ასე რომ, ეს სიახლე არ არის ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის. ასეთი რისკები, რა თქმა უნდა, იარსებებს, მაგრამ ჩვენც ვეცდებით, ეს რისკები შევამციროთ და შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც მიუხედავად ასეთი „ჩარევისა“, შესაბამისი პრობლემების დაძლევას შეძლებს.

**— უმრავლესობას, ვინც „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მივიდა, ბიძინა ივანიშვილის მიმართ დადებითი განწყობა ჰქონდა, მაგრამ ალბათ იყვნენ ისეთებიც, ვინც გაცილებით მეტს მოელოდა მისგან.**

— არჩევანის უფლება ძალიან ღირებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ამიტომ, ვინც იმ პოლიტიკურ ხედვას გაითვალისწინებს, რაც აქვს ბიძინა ივანიშვილს, ან რაც აერთიანებს თუნდაც ქართულ მოძრაობას, ის გახდება ამ პარტიის ან მოძრაობის, ან კოალიციის წევრი. ვინც არ გახდება, ნამდვილად ვერავის ვაიძულებთ, ჩაჯდეს იმ მატარებელში, თანაც იმ მიმართულებით, რომელიც მას არ აწყობს.

**— ბიძინა ივანიშვილში არ ზის რადიკალიზმი, მაგრამ ქართული სინამდვილისთვის სწორედ რადიკალიზმია დამახასიათებელი. როგორ გგონიათ, ბიძინა ივანიშვილისთვის რადიკალურ რელსებზე მოვლენების გადაყვანა მაშინაც მიუღებელი იქნება, თუკი არჩევნები გაყალბდება?**

— იცით, რა, სიტყვა „რადიკალიზმი“ ქართულ პოლიტიკაში გააჩინა სახელისუფლო პროპაგანდამ და რეალურად ყველაზე რადიკალი არის თავად ხელისუფალი. იმიტომ, რომ სხვათა აზრს, სხვა პოლიტიკურ ინტერესებს რადიკალურად არ ითვალისწინებს. ეს არის სახელისუფლებო რადიკალიზმი, რაც გაცილებით საშიშია, ვიდრე ის პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც თვლიან, რომ ქუჩის აქციებით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. როდესაც რადიკალიზმი ლეგიტიმურ ხელისუფლებაში ექცევა, როდესაც რადიკალური დამოკიდებულება თვითონ ხელისუფლებაში ვითარდება, სწორედ ეს არის საშიში. ამით კვდება დემოკრატიის ძირითადი პრინციპები. ამიტომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა იმ პატარა ჯგუფებს, რომლებსაც პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით განსხვავებული აზრი აქვთ (ეს მათი არჩევანიაძ, არამედ, პირველ რიგში, უნდა ვებრძოლოთ სახელისუფლო რადიკალიზმს, რომელიც, როგორც კეთროვანს, ისე იღებს განსხვავებულ აზრს და ამით ამსხვრევს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შანსს.

**მანანა ნოზაძე**

აბა, ჩემო მანასეო?!

# როდის ამბობს მართალს რეზო ჭეიშვილი?..

**რა დარჩება ხალხს შეუმჩნეველი: ეს ჩვენი ძვირფასი პროზაიკოსი რეზო ჭეიშვილი, ვერ გაგვიგია, საითკენ „უბერავს“, ან მიშასთან რა დარჩენია, ან ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას ორჭოფულად რატომ მიესალმებაო?..**

ტელეკომპანია „იმედში“ გუშინწინ გადაცემულმა სიუჟეტმა და პირდაპირ ტელეეკრანზე გაჩენილმა წარწერამ ხომ მთლად დაგვაბნია. აი, ეს წარწერაც:

**„ბიძინა ივანიშვილი არის ფულზე დამოკიდებული კაცი, მისი ფული კი რუსეთშია. ბიძინას ხელისუფლებაში მოსვლა ჩვენთვის იქნება კატასტროფა, რადგან ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ავტომატურად დაბრუნდება რუსეთის იმპერიის საზღვრებში. იქ დაბრუნება კი უბედურებაა. ძლივს მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, რისთვისაც წლები ვიბრძოდით. ივანიშვილის გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია“,** — ამბობს ბატონი რეზო.

**— რა ვქნათ ახლა, ბატონო რეზო, ეს რა ცეცხლში ჩაგვაგდე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლები,** — ვეუბნებით რეზო ჭეიშვილს, რომელიც ჩვენს თხოვნაზე უმალ გვეწვია რედაქციაში და თავისი პოზიციაც გაგვაცნო ზემოთ აღნიშნულ გამონათქვამთან დაკავშირებით:

— მე მაქვს ჩემი საქმე, მე არც მიშასთან ვარ და არც ბიძინა ივანიშვილთან. ბატონ ბიძინას რომ მხარს არ ვუჭერდე, რა მინდოდა მაშინ ფილარმონიაში „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე?.. არც მადლობა დამიკლია მისთვის, გაწეული დახმარების გამო... ა, ბატონო, აგერ ვწერ (მაწვდის ნაწერსძ: „ერთადერთი, რაც არ მსურს და არც მინდა, ეს რუსეთის ან „რუსეთის რჩეულის“ გამარჯვებაა. მე მსურს და მივესალმები გამარჯვებულს — ბიძინა ივანიშვილს



კადრი ინტერნეტიდან

მწერალი რეზო ჭეიშვილი ქვეყანაშ
მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებ
ეხმიანება. ბიძინა ივანიშვილის,
როგორც პოლიტიკური ძალის
ქვეყნის სათავეში მოსვლის შანსს,
რეზო ჭეიშვილი გამორიცხავს,
თუმცა, ამ შემთხვევაში, ქვეყნის
მდგომარეობის რადიკალურ
უარყოფითად შეცვლას
წინასწარმეტყველებს.

ბატონი რეზოს აზრით, ერთადერთ
ვისაც სურს ივანიშვილის გამარჯვება, რუსეთია:

ან საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს ან სხვა ღირსეულ ქართველს... მე ჩამთვალონ იმ კაცად, ვისაც ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება სურს, რადგან მე ვარ ის პირი, რომელიც სწორედ ბიძინა ივანიშვილს მისცემს ხმას“...

მერე კი ჩვენთან საუბარში განაგრძობს: „არ ეკადრება რეზო ამაშუკელს ჩემი ასეთი ლანძღვა-გინება, მით უმეტეს, ჩემს ნათქვამად სიტყვა „ცვედანის“ ხმარება, თითქოს, ოპოზიციის მიმართ... თუ რამ დამიწერია, სიტყვა — „ცვედანი“ არასდროს მიხმარია. რას იზამ, რაც უნდათ, ის თქვან... გავაგზავნე „ასავალ დასავალში“ პასუხი და არ დაბეჭდეს...

მოკლედ, ბატონი რეზო ჭეიშვილის გამონათქვამმა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ ადრე და ახლა ნამეტანი დაგვაფიქრა, ძვირფასო მკითხველო. იქნებ, თქვენ გაარჩიოთ სად არის სიმართლე?!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ

**ამა წლის 7 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ამირან კილურაძის პუბლიკაციას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. მრავალთაგან გამორჩეულს, რომელიც საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა, ცნობილმა სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკმა თამაზ ცინცაძემ გამოგვიგზავნა, დღეს უცვლელად გთავაზობთ.**

— ბატონო რედაქტორო, უპირველესად პირადად თქვენ და თქვენი გაზეთის ჟურნალისტებს მადლობა მინდა გადავუხადო იმ სარედაქციო პოლიტიკისთვის, რომელსაც ატარებთ, რასაც საქართველოს გადასარჩენად აკეთებთ.

# კიდევ ერთი სენსაციური ფაქტი ქართული ციტრუსის ირგვლივ

## უკრაინელი კრიმინალები ქართულ ციტრუსზე დიდ ფულს შოულობენ



ახლა უშუალოდ იმ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომლის პასუხადაც ამ წერილს გწერთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმდინარე წლის 7 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ბატონ გურამ პაპუნიძის ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელსაც აჭარა-გურიის რეგიონალური საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი ამირან კილურაძე უძღვებოდა. პუბლიკაცია ქართული ციტრუსისა და მეციტრუსეობის გადარჩენის გზებს შეეხება, წერილს კორესპონდენტმა საკმაოდ დამაინტრიგებელი სათაური მოუძებნა — „დარგის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა სახელმწიფო სტრუქტურების ბრალია“! თუმცა მეცნიერი და საქმეში კარგად ჩახედული ადამიანი, თხრობის დროს ხელისუფლების ბრალეულობის ჩამოთვლისაგან თავს იკავებს, მაგრამ ამ დარგის ჩავარდნის მიზეზს წერილის ავტორი სწორად მიანიშნებს. ამიტომ ამის თაობაზე მინდა მოსაზრება გამოვთქვა.

გასაგები მიზეზების გამო ბატონმა გურამ პაპუნიძემ გვერდი აუარა საქართველოში მეციტრუსეობის დეგრადაციისა და მისი სამომავლოდ განადგურების პერსპექტივის ანალიზს, რაც ქართული ციტრუსის რეალიზაციის გარანტიას, მისი ტრადიციული ბაზრის დაკარგვას უკავშირდება. ამ ბაზრის დაუბრუნებლად შეუძლებელი იქნება ციტრუსოვანთა პლანტაციების შენარჩუნება, რომელთაც ქართველი გლეხი ჯერ უვლის და უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობს. წერილში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ადრე ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ციტრუსის პლანტაციები განადგურდა, მოსახლეობაზე მიწის რეფორმის გზით გადაცემის ჩაშლის გამო რეალური მეპატრონის გარეშე დარჩა. მოგვიანებით კი ეს ფართობები დაიტაცეს და პლანტაციის დიდი ნაწილი გაანადგურეს კიდეც. ჩემი მხრიდან მთავარ სათქმელსაც ვიტყვი: გლეხმა ვინც საკუთრებაში პლანტაცია შეინარჩუნა და შესაძლებლობებს არ იშურებს ციტრუსის მომავლის მისაღებად, სახელმწიფო ფაქტობრივად ვერაფერს უკეთებს, რომ გლეხმა მოწეული ციტრუსი ქვეყნის გარეთ, თუნდაც უკრაინაში შეუფერხებლად გაიტანოს.

მკითხველისთვის რა მოულოდნელიც უნდა იყოს, უნდა ვაუწყოთ, რომ ოდესის ან ილიჩოვსკის პორტებში ციტრუსის გადამზიდავი კომპანიებისაგან იქაური კრიმინალები გამოსასყიდს ითხოვენ. ციტრუსის ილიჩოვსკის პორტში ჩამოტვირთვის დროს ყოველ ტონაზე 90 ამერიკული დოლარი უნდა გადაიხადონ გადამზიდავებმა, რაც, რაღა თქმა უნდა, არსად არ აღირიცხება. როგორც ჩანს, იგი ამ ზონაში მოქმედი „შავი სამყაროს“ ინტერესს ემსახურება. დამატებითი ხარჯები უფრო მაღალი იყო ბათუმიდან ოდესაში სუბტროპიკული ხურმის გადატვირთვის დროს. როგორც სარწმუნო სამყაროდან მივიღეთ ინფორმაცია, ასეთი გაუთვალისწინებელი ხარჯები ხურმაზე ტონაზე 200 დოლარს შეადგენდა, ამიტომ იყო რომ წლეულს მხოლოდ 6 ათასი ტონა სუბტროპიკული ხურმაა გატანილი, მაშინ როცა შარშან 15000 ტონა ხურმის გადატვირთვა მოხერხდა. ეს იმიტომ, რომ შარშან გადატვირთვასთან დაკავშირებით ნაკლები პრობლემები იყო, წელს კი ათასობით ხურმა დალპა, რადგან შემსყიდველი და გადამზიდავი კომპანიები თავს არიდებენ იმ დამატებით ხარჯებს, რაც მათ მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება და რაც ოფიციალურ საბუღალტრო დოკუმენტებში არ აღირიცხება.

პრესითა და ტელევიზიით ცნობილია, რომ ამას წინათ საქართველოში უკრაინიდან მაღალი რანგის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობითი დიდი ჯგუფი იყო ჩამოსული, რომლის მიზანი საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გაცნობა იყო. როგორც ვფიქრობთ, საქართველოში მოღვაწე სახელმწიფო მოხელეებისთვის, მათ შორის სპეცსამსახურებისთვის, ცნობილი არაა უკრაინის საბაჟოზე გაბატონებული უწესრიგობა. აქვე კითხვასაც დავსვამდი: თუ საქართველოს ხელისუფლებას ქართველი მეციტრუსის ბედი აწუხებს, მათ უკრაინელ მეგობრებთან უშუალო დიალოგისა და საკითხთა განსჯის დროს არ შეეძლოთ ეს პრობლემა გაერკვიათ და გაუგებრობა დღის წესრიგიდან მოეხსნათ? მაგრამ ეს არ მომხდარა. დასკვნა მხოლოდ ერთია. როგორც ჩანს, ამ ორი ქვეყნის სახელმწიფო ჩინოვნიკები იქაურ საბაჟოსთან დაახლოებული გაურკვეველი ფუნქციის მატარებელი ადამიანების ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ქართველი მეციტრუსეობისა და ციტრუსების გადამზიდავი კომპანიების ინტერესებს.

ხელისუფლებამ რაც შეიძლება ყველაზე ცუდი რომ გააკეთა, სოფლის მოსახლეობის, პირველ რიგში, მეციტრუსეების ინტერესების საწინააღმდეგოდ, ეს იყო კოოპერაციული ორგანოების — ცეკავშირის გაუქმება, როცა კოოპერატორთა ქონება მეპაიეებს წაართვეს, კოოპერაციული, ფაქტობრივად კერძო საკუთრება გაანადგურეს. ეს სისტემა გლეხის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მათ შორის ციტრუსის, შესყიდვა-რეალიზაციით იყო დაკავებული. ეს სისტემა დაინგრა, მოიშალა და გლეხი „ფაქტობრივად“ ყურადღების მიღმა დარჩა.

ასე რომ, ქართველ მეციტრუსეს რეალური თანადგომა და დახმარება ჭირდება და არა ათასგვარი კომისიის შექმნა, რომლებიც ციტრუსის მოკრეფა-დაბინავებასა და რეალიზაციას უკავშირდება. მის მიღმა გლეხის ინტერესების რეალური დაცვისათვის გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავთ. ასე ფიქრობს გლეხი. მას სამინისტროებში შედგენილი ანგარიშები, რომელთა უკან რეალური საქმე არ დგას, ნაკლებად აინტერესებს, სოფელს გადარჩენა და გადამრჩენი ჭირდება, განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ, ვიდრე ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციით არ დავწამლულვართ და გლეხსაც საბოლოოდ არ აუღია ხელი ქართული მიწის დამუშავებაზე.

**თამაზ ცინცაძე,**
**საზოგადოებრივი ექსპერტი**

ინფორმაცია

### სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული კიდევ ერთი პირი დააკავეს




**სამართალდამცველებმა ბრალდებული ივერი გოგიბერაშვილი საზღვრებს გარეთ, უკრაინაში აიყვანეს.**

**23 წლის ზურა ტარყაშვილი 17 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე ჩაცხრილეს. 23 წლის მოკლულ ახალგაზრდას სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთ-ერთი საკონტროლო გასროლის შედეგად.**

**ეძებენ კიდევ ერთ ადამიანს. მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ კი პოლიციამ დავით რუსიშვილი დააკავა, რომელმაც დანაშაული აღიარა.**

ინტერპრესი

კრიზისი

# სამომავლო საფრთხეები

**ავტორიტეტულმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა, მათ შორის „ფიტჩმა“, „სტანდარდ ენდ ფურსმა“, სხვებმა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მთელ რიგ დიდ ბანკს, მათ შორის „გოლდმან საქსს“, „ბენკ ოფ ამერიკას“, „სითი გრუფს“, „ბარკლაისს“, „სუისს“, „მორგან სტენლის“, „სოსიეტე ჟენერალს“ და ა.შ., რეიტინგები შეუმცირა. ამის მიზეზი, სააგენტოების წარმომადგენელთა განცხადებით, ისაა, რომ „... ისინი ბაზრის არასტაბილობის გამო რისკებისგან კვლავაც დაუცველნი არიან, განსაკუთრებით ფინანსური რყევების დროს“.**

ამჟამინდელი კრიზისის და მდგომარეობის გაისად უფრო გამძაფრების მოლოდინთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა ქალბატონმა კრისტიან ლაგარდმა, კერძოდ, განაცხადა, რომ **„ეს არ არის ისეთი კრიზისი, რომლის დამარცხებასაც მხოლოდ ქვეყნების ერთი ჯგუფი შეძლებს. ვიმედოვნებთ, რომ მის წინააღმდეგ ყველა რეგიონი და სხვადასხვა ეკონომიკური სიძლიერის სახელმწიფო გაერთიანდება“,** — აღნიშნა მან. მისივე თქმით, თუ ქვეყნები ძალისხმევას არ გააძლიერებენ, შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მსგავს ე.წ. დიდი დეპრესიის საავსებით რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ამასთან, სადღეისოდ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას, როგორი ძლიერიც უნდა იყოს იგი ეკონომიკურად და ფინანსურად, კრიზისთან ბრძოლის იმუნიტეტი არ აქვს, რადგან მისი მასშტაბები და სიმძაფრე იზრდება.




კრიზისთან და მოვლენათა უარესი სცენარით დამდეგ წელს განვითარების საფრთხეების შესახებ ათი ყველაზე რეალური რისკი უმსხვილესი „დოიჩე ბანკის“ ანალიტიკოსებმა განსაზღვრეს, რომელთა აზრით, **ევროზონას ყველაზე დიდი დარტყმა, შესაძლოა, საბერძნეთის მიერ მის დატოვებას, იტალიისა და ესპანეთის დავალიანებათა რეაფინანსირებასთან, ბანკების რეიტინგების შემცირებამ და რეცესიის ფაზაში ამერიკის შეერთებული შტატების ხელახალმა შესვლამ მიაყენოს.**

ფინანსურ ანალიტიკოსთა აზრით, საბერძნეთის ევროზონიდან გასვლა და მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის — დრაჰმის დაბრუნება საბერძნეთის საბანკო სისტემის კრახს გამოიწვევს, რასაც ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი (დაახლოებით 30 პროცენტით) შემცირება მოჰყვება.

რაც შეეხება სხვა საფრთხეებს, გერმანელი ანალიტიკოსები **საფრანგეთის მიერ მაქსიმალურად მაღალი რეიტინგის დაწევას, ჩინეთში ეკონომიკური განვითარების 6-პროცენტიან შენელებას, ევროპის დიდი ბანკების საკრედიტო დატვირთვის შემცირებას, სასაქონლო ბაზარზე ლიკვიდურობის კრიზისის დაწყებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში საპენსიო დეფიციტის მკვეთრ ზრდას, საიმედო საბანკო აქტივების მოცულობის შემცირებასა და, ასევე, მსოფლიო, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის გაზვიადებულ მაჩვენებლებს მიიჩნევენ. ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აქტივების ფასების შემცირების გამო გაისად მრავალი ინვესტორი სახსრების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.**

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საქართველოში წლეულს, სავარაუდოდ, დაგეგმილზე 1,5 პროცენტით მეტი იქნება, 2012 წელს კი მისი კიდევ უფრო მეტად ზრდაა ნავარაუდევი. ამდენად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელმა და საფინანსო სექტორის მესვეურებმაც ეს გარემოებები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

მიუხედავად არსებული საფრთხეებისა და ერთობ საგანგაშო პროგნოზებისა, გერმანელი ანალიტიკოსები მომავალ წელს მსოფლიო სასაქონლო ბაზრებისთვის მაინც უფრო ხელსაყრელ დროდ მიიჩნევენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

წკეპლიკა

# რუსული ფული და რუსული სული

ბოლო ხანებში საპარლამენტო უარესობის გამორჩეულად ოდიოზურმა წარმომადგენლებმა გია თორთლაძემ, ნუგზარ წიკლაურმა თუ სხვებმა უკადრისი კამპანია გააჩაღეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, ალაპარაკდნენ რა იმისი „რუსული წარმოშობის ფულის“ შესახებ. გიას რაც შეეხება, ნეტავ ევერესტზე ამოლეზლად დარჩენილიყო (თუ მართლა აღოლდაძ და პოლიტიკის მწვერვალებზე ცოცვისაგან თავი შეეკავებინა, არაა მაგის საქმე...

დიახ, რუსული ფულიო, წასძახიან იმ დიდ ქველმოქმედს. არადა (ეს უჩემოდაც უკვე ითქვაძ, სანამ იმ კაცის უანგარო შემოწირულობებს ხელისუფლება უხვად იყენებდა, ხელგაშლით ხარჯავდა, თან ხარჯებს თურმე თავისად ასაღებდა, მაშინ არ ასდიოდა იმ ფულს იმპერიული სუნი?..

ოღონდ მე აქ სხვა კუთხით ვაპირებ სიტუაციის შეხედვას: როცა ქვეყნისათვის ამდენი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი — სასმელი წყალია, გაზსადენია, ჰესებია თუ სხვა ენერგორესურსები — რუსეთს მიჰყიდეს, ხელში ჩაუგდეს, სხვანაირად თქმით, როცა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქართულ ობიექტებს რუსული სული ჩაუდგეს, იმჟამად არ აწუხებდათ იმპერიის მარწუხები? იმ დროს არ ფიქრობდნენ იმდენი ობიექტის რუსულ ოკუპაციაზე? რაიმე მშობლიური ძალით იქნება ოკუპირებული თუ ჩემგან ნებაყოფლობით მირთმევით — სავალალო შედეგისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა?..

ასე რომ, ძვირფასო თორთლაძეებო, წიკლაურებო და კიდევ სხვა „ებო“, სანამ ბიძინა ივანიშვილის „რუსულ ფულზე“ ალაყბედ-ალაყაფდებით, ის რუსული სულიც ნუ დაგავიწყდებათ, თქვენი სახელისუფლებო წყალობით რომაა დარჩენილი საქართველოს თვალსაჩინო ნაწილში დამკვიდრებულ-ჩაბუდებული...

**ბერდია ბედოიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი დუმს საქართველოსთვის ამერიკის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებით

**როდესაც გასულ კვირას გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ნება მისცა მოახდინოს საქართველოსთან ურთიერთობის „ნორმალიზაცია“ სამხედრო სფეროში, მათ შორის, თბილისისთვის თავდაცვის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებით, თითქოსდა, ამ ნაბიჯს აუცილებლად უნდა გამოეწვია მძაფრი რეაქცია მოსკოვის მხრიდან. კრემლი კი აცხადებდა, რომ ეს დიდი არაფერია, იგი ყველაზე ნეგატიურად აისახება „გადატვირთვის“ პოლიტიკაზე.**

ამას გარდა უკანასკნელ პერიოდში რუსეთი მეტად და მეტად მწვავე რეაგირებას აკეთებდა ანალოგიურ თემებზე, ისეთებზე, როგორიცაა ნატოს რიტორიკის კორექტირება საქართველოსთან დაკავშირებით. კრემლი ცდილობდა გაეღვივებინა სკანდალი, აცხადებდა, რომ საქართველო ამზადებს თავისთან ანტირუს „ტერორისტებს“ და მრავალგზის გამოთქვამდა დაშინებას ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების გამო ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებასთან დაკავშირებით.

ახლა კი, ერთი კვირის შემდეგ, რაც კონგრესმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, მოსკოვი... სულ დუმს. ჩვენ დავინტერესდით და დავუკავშირდით ზოგიერთ საინფორმაციო წყაროს მოსკოვში, თბილისსა და ვაშინგტონში, ვთხოვეთ მათ გაგვიზიარონ თავიანთი თეორიები ამ ფაქტთან დაკავშირებით. აი ზოგიერთი ამ იდეებიდან:

— რუსეთი იმდენად დიდად არის დაკავებული თავისი კრიტიკოსებით ქვეყნის შიგნით, რომ არ სცალია იმისთვის, რომ შეშფოთებული იყოს საქართველოს გამო. ამაში, შეიძლება, რაიმე სიმართლეც იყოს, მაგრამ თუ ეს ყველაფერი ასეა, ეს არღვევს საქართველოს თეორიას იმის შესახებ, რომ ამასწინანდელი „ტერორისტული“ შეთქმულება იყო შემოგდებული რამ მოსკოვის მხრიდან, რაც მიზნად ისახავდა შეეკავშირებინა რუსეთის საზოგადოებრიობა საგარეო საფრთხის წინაშე. თუ კრემლი ასეთ მიზანს დაისახავდა, მაშინ კონგრესის ეს კონკრეტული ნაბიჯი მოსკოვისთვის იქნებოდა გაცილებით უფრო ხელსაყრელი საბაბი, ვიდრე აშკარად გამოგონილი ტერორისტული შეთქმულება.

— კრემლს მიაჩნია, რომ ყველაფერი ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია, ასე რომ, რეაგირებაც ამაზე ჯერჯერობით არ ღირს.



დიახ, რასაკვირველია, კანონს ჯერ კიდევ ხელი უნდა მოაწეროს პრეზიდენტმა ობამამ, და დოკუმენტს ჯერჯერობით ხელს აწერს სახელმწიფო დეპარტამენტი, და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს კიდევ მოუწევს შეიმუშაოს მოქმედების პროგრამა ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის. მაგრამ ის ადამიანები, ვისაც ურთიერთობა აქვს კანონებთან და მათ გამოყენებასთან, და გვარწმუნებდნენ, რომ ჯერ კიდევ საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე შუალედური ნაბიჯიც ამ გზაზე, დოკუმენტი მაინც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებისგან განაახლოს შეიარაღების მიწოდება საქართველოსთვის. სახელმწიფო დეპარტამენტს არ შეუძლია (ეს კიდეც რომ მოინდომოსძ ყველაფერი დაამუხრუჭოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსკოვისთვის ეს ყველაფერი კარგად არის ნაცნობი.

— კულისებს მიღმა ამერიკელმა დიპლომატებმა თავიანთ რუს თანამოსაუბრეებს უთხრეს: „ნუ დაგვდებთ ბრალს, ეს ყველაფერი მაკკეინის ბრალია“. ესე იგი, ეს სენატორ ჯონ მაკკეინის ინიციატივითაა, რომ დებულება შეიტანეს თავდაცვის კანონში, სენატორი კი რუსეთში ცნობილია, როგორც რუსოფობი და საქართველოფილი. იმ ფაქტს კი, რომ ეს მისი ინიციატივაა, შეეძლო რამდენადმე შეერბილებინა რეაქცია.

— თბილისს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებობს გარკვეული კულისებსმიღმა შეთანხმება. ეს, ჩვენი აზრით, ყველაზე სწორი ვარაუდია, თუმცა ერთგვარად შეთქმულების თეორიასაც შეეხება. საქართველოს ჰქონდა უფლება, დაებლოკა რუსეთის შესვლა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, ამერიკის შეერთებული შტატები კი დაეხმარა მიეღწიათ შეთანხმებისთვის, და თბილისი დათანხმდა. სრულიად ცხადია, რომ საქართველოს რაღაც უნდა ეთხოვა სამაგიეროდ თავისი თანამშრომლობისთვის, მაშ, რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს? აი, ესეც თქვენი განმარტება, რის გამოც საქართველოს მთავრობამ საკმაოდ თავშეკავებული რეაგირება გააკეთა ამ ახალ ამბავზე: თუ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობდა შეთანხმების მიღწევას, ის ორივე მხარეს სთხოვდა არ აეტეხათ ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხმაური (ამას შეუძლია ასევე განმარტოს, რატომ არის, რომ რუსეთის ფედერაციისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთის მთავრობა გამოვიდა საჯარო პროტესტითძ. ამ სცენარის მიხედვით, მაკკეინის როლის შეფასება მაინც მოითხოვს განმარტებას, მაგრამ მას ან შეიძლება ეთანამშრომლა თეთრ სახლთან, ან თეთრი სახლი სთხოვდა მაკკეინის ოპონენტებს არ აეტეხათ აურზაური მომენტის მნიშვნელობის გამო. ეს ცოტა მოგონილს ჰგავს, მაგრამ ეს განმარტება არაფრით არ არის დანარჩენებზე უარესი.

EURASIANET.org

# შევარდნაძე: ჰაველს ჩვენთან პატივს სცემდნენ

**თუ არსებობს კიდეც საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა, რომელიც მართლაც შეძრა ჩეხი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის გარდაცვალებამ, ეს საქართველოა. ამ ამბავთან დაკავშირებით თანაგრძნობა გამოხატა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ჩეხეთში საკმაოდ ცნობილმა პიროვნებამ ედუარდ შევარდნაძემ.**



ჩეხეთის ექსპრეზიდენტი ყოველთვის მხარს უჭერდა ამიერკავკასიის პატარა რესპუბლიკას. მაშინაც, როდესაც საკითხი შეეხებოდა სეპარატისტული რესპუბლიკების სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის შეერთებასაც, როდესაც მიმდინარეობდა დავები ძლიერ რუს მეზობელთან დაკავშირებითაც. „როდესაც დათვი თავს ესხმის ჯუჯას, საჭიროა, რომ ამის შესახებ, თუნდაც რაიმე მაინც უნდა იცოდნენ და საუბრობდნენ. ის, რომ ჯუჯამ გადადგა მცდარი ნაბიჯები, შეიძლება სწორი ნაბიჯებიც, ეს ჯერ კიდევ ყველაფერს როდი ნიშნავს, საჭიროა ითქვას, თუ ვინ არის მთავარი აგრესორი“, — განაცხადა ვაცლავ ჰაველმა 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის აგვისტოს შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის შემდეგ.

ედუარდ შევარდნაძე ამიტომ დიდ პატივს სცემდა ვაცლავ ჰაველს. ამის შესახებ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა უამბო ექსკლუზიურ ინტერვიუში ჩვენს გამოცემას. მისი სიტყვებით, საქართველო ყოველთვის პატივს სცემდა ჰაველს, ძირითადად, მისი სულიერი და დემოკრატიული შეხედულებების გამო. და ამიტომ მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას გადასცა ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი.

შევარდნაძე დიდ პატივს ცემდა ჰაველს, როგორც „ფილოსოფიურად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეს“. შევარდნაძემ კი აღმოსავლელი ევროპელები (მათ შორის ჩეხოსლოვაკიაცძ დაიპყრო ძირითადად იმით, რომ ცივი ომის ბოლოს მან გადაჭრით თქვა უარი აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების ლიდერების მოთხოვნაზე საბჭოთა ინტერვენციასთან დაკავშირებით.

„მოვიდა დრო გავიგოთ, რომ არც სოციალიზმი, არც მეგობრობა, არც კარგი მეზობლური ურთიერთობანი, არც პატივისცემა არ შეიძლება იქნეს შექმნილი ხიშტების, ტანკებისა და სისხლის დახმარებით“, — განმარტა მან 1980-იანი წლების ბოლოს.

„ჰაველი იყო ცნობილი მსოფლიო პოლიტიკოსი“, — ასეთი კომენტარი გაუკეთა ედუარდ შევარდნაძემ ვაცლავ ჰაველის გარდაცვალებას.

*— რა იფიქრეთ, როდესაც გაიგეთ, რომ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის ექსპრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი?*

— უწინარეს ყოფლისა, ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო თქვენს გამოცემას, რომ საშუალება მომცა გამოვხატო თანაგრძნობა ჩეხეთის პირველი პრეზიდენტისა და მსოფლიო დონის ცნობილი პოლიტიკოსის ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო.

ცნობამ ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების შესახებ ღრმად შემძრა. იმიტომ, რომ ეს არის დიდი დანაკარგი არა მხოლოდ ჩეხი ხალხისთვის, არამედ მთელი დემოკრატიული მსოფლიოსთვისაც.

*— როგორ შეაფასებდით მას, როგორი დარჩება იგი თქვენს მეხსიერებაში?*

— ვაცლავ ჰაველი იყო ერთადერთი დისიდენტი, რომელმაც, როდესაც პრეზიდენტი გახდა, გაამართლა მსოფლიო საზოგადოებრიობის მოლოდინი და, პირველ რიგში, თავად ჩეხი ხალხის იმედი.

*— თქვენ მას პირადად შეხვედრიხართ? რა შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე?*

— ვაცლავ ჰაველს მე არაერთგზის შევხვედრივარ საერთაშორისო სამიტების დროს.

მაგრამ ჩემს მეხსიერებაში, უწინარეს ყოვლისა, დარჩა შეხვედრა 1994 წლის მარტში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დროს ოფიციალური ვიზიტით გავემგზავრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინ ჩვენ რამდენიმე საათით შევჩერდით პრაღაში.

ჩვენ ვსაუბრობდით პირისპირ ვაცლავ ჰაველთან. მან ჩემზე მოახდინა ფილოსოფიურად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწის შთაბეჭდილება.

*— საქართველო? როგორი ურთიერთობა აქვს თქვენს ქვეყანას და მის მოქალაქეებს ვაცლავ ჰაველთან?*

— ქართველი ხალხისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერ და დემოკრატიულ ღირებულებებს. ამიტომ პატივისცემა, რასაც გამოხატავდნენ ვაცლავ ჰაველისადმი საქართველოშიც, მთელ ევროპაშიც, იყო სავსებით ბუნებრივი.

aktuálně.cz

## დედამიწის ზურგზე

### ნამიბიაში აჩქარდნენ გაეხსნათ „კოსმოსური ბირთვის“ საიდუმლო - ევროპელებს ასეთები არ აქვთ, სამაგიეროდ აქვთ რუსებს

„ტელელიპუცას უცნაური თავი“ მოწყდა ევროპულ რაკეტმზიდს, გამოარკვიეს ჟურნალისტებმა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ევროპაში კოსმოსური სისტემის ელემენტებს, რომლებიც შეესაბამება „ნამიბიური ბირთვის“ აღწერას, არ აწარმოებენ. სამაგიეროდ, რუსეთში ის საკმარისზე მეტიცაა — თავზეც კი აცვივდებათ სოფლის მცხოვრებლებს.

### კიმ ჩენ ინი კვლავ მიუახლოვდა წარმატებულ მამას: ახლა პარტიას უდგას სათავეში

ადრე „დიდი მემკვიდრე“ სათავეში ედგა ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს, სამხედროებმა კი დაადასტურეს, რომ თითოეული ჯარისკაცი ამიერიდან ვალდებულია თავისი სიცოცხლე გაწიროს ქვეყნის ახალი ლიდერის დაცვისთვის. ახალგაზრდა ბელადმა უკვე მოასწრო გამოეჩინა მზრუნველობა ხალხისთვის: მისი მითითებით დღითაც და ღამითაც ქუჩაში მტირალ კორეელებს მიაწვდიან ცხელ ტკბილ წყალს.

### ახალი კონფლიქტი გაეროს უშიშროების საბჭოში: დასავლეთს არ მოეწონა „წარმოუდგენელი“ რუსული რეზოლუცია სირიასთან დაკავშირებით

„რუსეთის წინადადებანი არ არის საკმარისი“, — აღნიშნა გერმანიამ, რითაც მიუთითა, რომ საჭიროა სანქციები ბაშარ ასადთან დაკავშირებით, ოპოზიციის კრიტიკა კი მიუღებელია. „ემბარგო იარაღის მიწოდებაზე აღარ იქნება, ჩვენ ეს უკვე ვიხილეთ ლიბიაში“, — იყო პასუხი. რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოში აღიარა, რომ ასეთი მძიმე დრო მას ჯერ არ ჰქონია.

### კრემლის კანდიდატი გაანადგურეს კიდევ ერთ უღიარებელ რესპუბლიკაში: დნესტრისპირეთში იმარჯვებს ოპოზიციონერი შევჩუკი

პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ევგენი შევჩუკმა ბიულეტენების 100 პროცენტით დაანგარიშებით შედეგად ხმების 73,88 პროცენტი მოაგროვა. მის მეტოქეს — ადგილობრივი პარლამენტის ხელმძღვანელს ანატოლი კამინსკის ხმა მისცა ამომრჩეველთა მხოლოდ 19,67 პროცენტმა. ყველას წინააღმდეგ ხმა მისცა 4,45 პროცენტმა.

### ავღანეთში თვითმკვლელმა ააფეთქა სამგლოვიარო ცერემონია: დაიღუპა მინიმუმ 22 კაცი

დიდი ტერორისტული აქტი მოხდა ტახარის პროვინციაში. დაღუპულთა შორის იყო ავღანეთის პარლამენტის დეპუტატი, უზბეკეთის მკვიდრი მუტალიბ ბეგი, წარსულში ავღანეთის გადარჩენის გაერთიანებული ისლამური ფრონტის ერთ-ერთი სარდალი, რომელიც თალიბებს ებრძოდა.

განსჯა

# თუ მაღალხარისხოვან არჩევნებს ჩავატარებთ, მომავალი წლის ბოლოსთვის, ალბათ, უკეთეს ქვეყანაში აღმოვჩნდებით



2011 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებზე, ტენდენციებზე და ამავე სფეროში 2012 წლის პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ **ზურაბ აბაშიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით 2011 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ პროცესებს და რას მიიჩნევდით 2011 წლის საშინაო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

— ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ასეთ შემთხვევაში ხშირად ხმარობენ ხოლმე კლიშეს - „იყო როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები". ჩემი აზრით, უპირველესად, აღსანიშნავია, საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაცია ქვეყნის შემდგომი განვითარების ევოლუციური, პოლიტიკური პროცესის სასარგებლოდ, ანუ საზოგადოებაში არის დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნა, მაგრამ არა ქარტეხილებისა და რევოლუციების გზით, არამედ არჩევნების მეშვეობით.

მიმდინარეობს მწვავე, ხშირად დაუნდობელი დისკუსიები მომავალი არჩევნების თაობაზე, რაც საერთო ჯამში, ნორმალური მოვლენაა. ამავე დროს, რევოლუციის აჩრდილმა და მაქსიმალისტურმა ლოზუნგმა „ზეგ ხელისუფლება შეიცვლება!", ჩვენი თეატრალიზებული პოლიტიკური კულუარების სიღრმეებში გადაინაცვლა. ეს ჩვენი კოლექტიური აზროვნების მისასალმებელი ცვლილებაა. ამ ცვლილებას, ჩემი აზრით, აშკარად შეუწყო ხელი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენამ, რომელმაც ეს მარათონი იმ განცხადებით დაიწყო, რომ მისთვის სიტყვა „რევოლუცია" ყოვლად მიუღებელია. მისი შემდგომი განცხადებებიც ამ თეზისს ადასტურებენ. ის პოლიტიკური ჯგუფიც, რომელზეც მან გააკეთა არჩევანი, აშკარად ევოლუციური, ლიბერალური კატეგორიებით აზროვნებს. იმედი მაქვს, ამ დადებით გარემოებას ხელისუფლებაშიც ხედავენ და აცნობიერებენ, მიუხედავად მათი მხრიდან ივანიშვილის მწვავე კრიტიკისა.

ჩვენი საზოგადოების გუნება-განწყობილებაზე, შეიძლება ზოგჯერ ქვეცნობიერადაც, უთუოდ იმოქმედა წლეულს არაბულ ქვეყნებში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებებმა, რომლებიც ოპტიმისტურად დაიწყო, მაგრამ ფრიად დრამატულად გრძელდება. ამ რევოლუციებს მისდევს „მისამღერი": რევოლუცია თავში რომანტიკულია, ბოლოში კი ტრაგიკული. გამოცდილებაცა და რეალობაც იმას გვიკარნახებს, რომ დემოკრატიული ცვლილებების განხორციელება და ზოგადად წინსვლა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა შევძლოთ.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები საშინაო პოლიტიკაში 2012 წელს?**

— საქართველოზე გარეშე ფაქტორების გავლენა დიდია, მაგრამ ჩვენზე ბევრია დამოკიდებული იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გამოვიყენებთ საზოგადოებრივი აზრისა და ფასეულობების ზემოხსენებულ ცვლილებებს. დღეისათვის საზოგადოებაში არჩევნების მიმართ ნდობამ აშკარად იმატა. თუ ჩვენ შევძლებთ ამ ნდობის რეალიზებას, ანუ ჩავატარებთ მაღალხარისხოვან არჩევნებს, მაშინ მომავალი წლის ბოლოსთვის ჩვენ ყველანი, ალბათ, უკეთეს ქვეყანაში აღმოვჩნდებით. ისეთ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეები, შინაც და გარეთაც, იამაყებენ და თუნდაც იტრაბახებენ იმით, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს შვილები და პატრონები არიან. თუ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ... არ მინდა ახალი წლის დამდეგს ხასიათი გაგიფუჭოთ.

**— თქვენი აზრით, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოებას ასეთი არჩევანი ექნება — ან სააკაშვილი, ან ივანიშვილი? და კიდევ, რამდენად სავარაუდოა პოლიტიკურ ასპარეზზე სერიოზული მესამე ძალის გამოჩენა?**

— მე მხოლოდ დადებითად ვუყურებ ამ ოპოზიციური სპექტრის გამსხვილების პროცესს. იმდენი პარტია, რაც ჩვენშია, მგონი მილიარდიან ინდოეთშიც არ არის. თუკი მართლაც ჩამოყალიბდება რამდენიმე პოლიტიკური ძალა, რომლებიც რეალურად წარმოაჩენენ პოლიტიკურ სამ — მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტულ მიმართულებასა და იდეოლოგიას, ეს ჩვენი დაღვინების და გასერიოზულების მაცნე იქნება. დღემდე კი ასე იყო: პეტრეს პარტია, პავლეს პარტია და ა.შ.

მომავალი არჩევნების მთავარ მოთამაშეთა კონტურები უკვე გამოიკვეთა და რაიმე დიდი სიურპრიზი მგონი მოსალოდნელი არ არის. ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ამას ყველა უნდა შეეგუოს. პირადად მე იმას ვურჩევდი ხელისუფლებას და აღნიშნულ გუნდსაც, რათა იფიქრონ ერთმანეთთან კომუნიკაციის არხის ჩამოყალიბებაზე, რათა მოხდეს ელემენტარული წინასაარჩევნო თამაშის წესების შეჯერება. შეიძლება ეს რჩევა ვიღაცას ინფანტილურად მოეჩვენოს, მაგრამ სერიოზული ხალხი ასე იქცევა. ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთაშორისო საზოგადოება და მეზობლები, მრავალ მიზეზთა გამო, ახლა განსაკუთრებული ყურადღებით გვაკვირდებიან.

**— როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ასპარეზზე 2011 წელს განვითარებულ პროცესებს და როგორი იყო იგი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით?**

— მსოფლიო ისე სწრაფად იცვლება, რომ დღევანდელობას ჯერ სახელიც ვერ შეურჩიეს. 1990-იანი წლები იყო „ცივი ომის" შემდგომი პერიოდი, ერთპოლარულ სამყაროს კი ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი — აშშ. მერე დაიწყო მრავალპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება და ეს პროცესი სულ უფრო შემდგომი ფრაგმენტაციის, დაძუცმაცების ხასიათს იძენს. თვით ცალკეულ პოლუსებში, ვთქვათ ევროკავშირში, იქმნება ახალი კონფიგურაციები განსაკუთრებული ინტერესების მიხედვით.

აშშ-აც აღარ აქვს პრეტენზია ერთპიროვნული ლიდერობისა. იყო წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ „ცივი ომის" ეპოქის იდეოლოგიათა დაპირისპირებას „ცივილიზაციათა შეჯახება" შეცვლიდა. ან პირიქით, რომ მალე ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში საყოველთაოდ გაიმარჯვებდა და ამგვარად „ისტორია დასრულდებოდა". ვერც ერთმა ამ პროგნოზმა ბოლომდე ვერ გაამართლა, თუმცა ორივე ხედვა რაღაც ნაწილში ჩვენს თვალწინ რეალობად იქცა.

კერძოდ, არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესები და მათთან დასავლეთის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ცივილიზაციურ დაპირისპირებათა ერთგვარი გამოხატულებაა, ხოლო მეორე მხრივ, უნივერსალურ, გლობალურ ფასეულობათა გავრცელების დასტური. მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც არაერთგვაროვანი პროცესები მიმდინარეობს. როგორ „მოიხარშება" ყოველივე ეს, ჯერ ძნელი სათქმელია. ზბიგნევ ბჟეზინსკის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, მსოფლიომ გამოიღვიძა, ყველა თავისი უფლებებისთვის იბრძვის, ეს უფლებები კი ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან და რეალურად არსებულ რესურსებთან, ანუ ყველას უნდა კარგად იცხოვროს, მაგრამ ამის რესურსები მსოფლიოში სულ უფრო ნაკლებია და რთულად მოსაპოვებელი. დღეს ყველას უჭირს! ასეთ რთულ სამყაროში უწევს ჩვენს მცირე ქვეყანას გზის გაკაფვა და თავისი მიზნების მიღწევა.

ამ ვითარებაში მიმდინარე წელს იყო გარკვეული მოძრაობა ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების თვალსაზრისით. ეს მისასალმებელია. მაგრამ რეალური გარღვევა და მდგომარეობის ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება ჯერ ვერ მოხერხდა. მხედველობაში მაქვს ჩვენი მთავარი ამოცანაც — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ვიცით, რომ ამ მიზნებს ერთბაშად ვერ მივაღწევთ, მაგრამ პროცესთან დაკავშირებითაც საზოგადოებაში ბევრი კითხვა და გაურკვევლობაა.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები საერთაშორისო ასპარეზზე? და კიდევ, სავარაუდოდ, როგორი პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით? რას შეიძლება ველოდოთ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის თბილისში ვიზიტისა და ჩიკაგოს ნატოს სამიტისაგან?**

— მომავალ წელს მოწყენის საშუალება ნამდვილად არ მოგვეცემა. მოსალოდნელი არჩევნების გამო 2012 წელი, როგორც მინიმუმ, დინამიკური იქნება საქართველოსთვის, ასევე მეზობელი რუსეთისა და სომხეთისთვის, აშშ-სთვის (მოგეხსენებათ, ამ ქვეყნებშიც არჩევნებია). დიდი იმედი მაქვს, რომ არ იმატებს დაძაბულობა ჩვენს სამეზობლოში. მხედველობაში მაქვს აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობები, ჩრდილო კავკასია და, რა თქმა უნდა, ირანი. ამ უკანასკნელთან მიმართებაში შესაძლო სამხედრო აქციას კატასტროფული შედეგები მოჰყვება. მინდა დავიჯერო, რომ ამას ყველა აცნობიერებს და გამოუსწორებელ შეცდომას არ დაუშვებენ. ასევე ვიმედოვნებ, რომ შეუქცევად ხასიათს მიიღებს ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი ევროკავშირში, რაც ასევე ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებშია. კარგი იქნება, თუ მოხდება უკრაინის დაახლოება ევროკავშირთან და საერთოდ მისი დასავლური ვექტორის გაძლიერება.

რაც შეეხება კლინტონის უდავოდ მეტად მნიშვნელოვან ვიზიტს. ალბათ, განხილულ საკითხთა შორის იქნება ის უმთავრესი პრობლემები, რომლებიც გათვალისწინებულია 2009 წელს გაფორმებული აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიითა და ამ ქარტიის ფარგლებში შექმნილი მექანიზმის ყურადღების მთავარი საგანია. უპირველესად, ეს გახლავთ ჩვენთვის უაღრესად აქტუალური უშიშროების თემა, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით, ასევე მრავალმხრივი, ანუ საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის კონტექსტში. ამ საკითხთან არის დაკავშირებული ნატოსთან ჩვენი შემდგომი დაახლოების სურვილი და კერძოდ, ჩიკაგოს მომავალი სამიტი. მიჭირს იმის პროგნოზირება, თუ რას უნდა ველოდოთ ალიანსის ამ სამიტისგან. შეიძლება ჯერ არც აშშ და ნატოს სხვა წევრი ქვეყნები იყვნენ ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული. აღნიშნულ სამიტამდე რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებია და, გვსურს თუ არ გვსურს, ამ მოვლენაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

აშშ-ის სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის დროს ალბათ, განიხილავენ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პრობლემებს. ჩემი აზრით, ქ-ნი კლინტონი ხაზგასმით ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, რათა არ გაიმეოროს კრემლის მიერ არჩევნებამდე და შემდეგ დაშვებული უხეში შეცდომები. იმედი მაქვს, ამ მეგობრულ და პრინციპულ რჩევა-გაფრთხილებას მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.

**— სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შემდეგ რუსეთში განვითარებული პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ 2012 წლის მარტისთვის, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვითარება რუსეთში კიდევ უფრო დაიძაბება? თქვენი შეფასებით, სავარაუდოდ როგორ განვითარდება პროცესები რუსეთში?**

— ის, რაც დღეს მოსკოვში ხდება, აშკარად მიუთითებს, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. საზოგადოებამ ნამდვილად გამოიღვიძა და რეალურ დემოკრატიულ ცვლილებებს ითხოვს. აცნობიერებს რა ამ ახალ ვითარებას, პუტინის რეჟიმი აშკარად ნერვიულობს და დაჩქარებულად კომპრომისულ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ჯერ უცნობია, თუ რამდენად დააკმაყოფილებს ეს ნაბიჯები საპროტესტო მოთხოვნებს. რუსეთში შექმნილი ახალი ვითარება სერიოზულ დაკვირვებას და ანალიზს ითხოვს. ჩემი აზრით, პუტინს ძალიან გაუჭირდება კიდევ 6 წელი რუსეთის მართვა, მისი ავტორიტეტი ძალიან შეილახა და ეს დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხაა.

**— თქვენი აზრით, თუ რუსეთში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა, როგორი უნდა იყოს ოფიციალური თბილისის რეაქცია?**

— არავის არ უნდა მივცეთ „ისრის ჩვენზე გადმოტანის" საბაბი. ცუდად ჩატარებული საკუთარი არჩევნები და საზოგადოების პროტესტი რუსეთის მთავრობამ უკვე ხომ დააბრალა ჰილარი კლინტონს? შემდეგ შეიძლება იმ მეზობელი ქვეყნების ძიებაც დაიწყონ, რომლებიც „რევოლუციის ექსპორტს" ცდილობენ რუსეთში ან ხელს უწყობენ ტერორიზმს. მოგეხსენებათ, ასეთი მინიშნებები უკვე კეთდება მოსკოვში. სიფრთხილეს თავი არ სტკივაო — ეს ეხება როგორც ჩვენს აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას. ბუნებრივია, ამ მიმართულებით მუდმივად გვჭირდება დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა.

ამასთანავე, ჩემი დაკვირვებით, გონიერების ზღვარს ცდება ჩვენი ოფიციოზისა და ტელეპროპაგანდის მიერ რუსეთის ხელისუფლების კრიტიკის მასშტაბები, ხისტი ფორმა და შინაარსი. დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროპაგანდა მოსახლეობაში საპირისპირო ეფექტს არ იწვევს? ნებისმიერი ობიექტური კრიტიკა მისაღებია, მაგრამ უფრო ზომიერი და გააზრებული დოზირებით.

დასასრულ ერთი „იდილიური გადახვევის" უფლებას მივცემ ჩემს თავს... უნივერსიტეტში სტუდენტებს ვუკითხავ ასეთ ერთ ლექციას თემაზე „როგორ შეიძლება აქციო მოყვარე მტრად". მაგალითისთვის მომყავს რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ბოლო 20 წლის მანძილზე. მართლაც ქრესტომათიული მონდომება იყო საჭირო იმისთვის, რათა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები დღევანდელ მდგომარეობამდე დასულიყო. არც ჩვენ დავაკელით არაფერი, მაგრამ მოსკოვის როლი მაინც გამორჩეული და საარაკოა.

ვნახოთ, იქნებ ახალმა წელმა მოგვიტანოს რაიმე სიახლე ამ პოლიტიკის უკეთესობისკენ შეცვლის თვალსაზრისით.

**კობა ბენდელიანი.**

ინფორმაცია

## კომპანია, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახორციელებს მონიტორინგს, ჯერ შერჩეული არ არის.



**ამის შესახებ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ განაცხადა. მისი თქმით, კომპანიას შეთანხმების მიხედვით შვეიცარიული მხარე შეარჩევს.**

**— შვეიცარიულმა მხარემ ჩაატარა კონსულტაციები ჩვენთან, ატარებს ასევე კონსულტაციებს რუსულ მხარესთან. შეთანხმების მიხედვით განსაზღვრულია, რომ კომპანიის შერჩევა მოხდება, სწორედ შვეიცარიის მხარის მიერ ამ კონსულტაციების საფუძველზე. ეს ნიშნავს იმას, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არის ბერნის გადაწყვეტილება და ჩვენ ველოდებით, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ისინი შეარჩევენ კომპანიას გამოცდილებისა და საერთაშორისო რეპუტაციის თვალსაზრისით, — განაცხადა კაპანაძემ.**

**მისი თქმით, უახლოეს დღეებში ან კვირებში გახდება ცნობილი, თუ რომელი კომპანია განახორციელებს მონიტორინგს.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 242. სამშაბათი, 27 დეკემბერი, 2011 წელი.

**მეცნიერების ისტორიის გაკვეთილები**

„...შეუძლებელია, რომ მეცნიერების ისტორიამ არ დააგულისყუროს მეცნიერი-ბუნებისმეტყველი: მეცნიერი ამ ისტორიაში პოულობს... არა ერთსა და ორ გაკვეთილს და, საკუთარი გამოცდილებით დაბრძენებულს, შეუძლია ბევრად უკეთესად, ვიდრე სხვას ვისმე, ამ გაკვეთილების საქმის ცოდნით ახსნა-განმარტება“.

ლუი დე ბროილი

ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1929).

# საქართველოს ინტელექტუალური საუნჯე

## სამოცდაათწლიანი გზა ერთ წიგნად

**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მგალობლიშვილი რამდენიმე ათეული წელია მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. იგი მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგში 30-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიის ავტორია. გამოქვეყნებულ შრომათა შორის აღსანიშნავია მონოგრაფია – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი პრეზიდენტი. შტრიხები ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას და ევგენი ხარაძის პორტრეტებისათვის“ და წიგნი – „შესანიშნავი შვიდეული“, რომლის გმირები არიან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის პირველი ქართველი კურსდამთავრებულები, აკადემიკოსები – ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, გიორგი წერეთელი, ვიქტორ კუპრაძე, ბენედიქტე ბალავაძე, შოთა ძიძიგური და სერგი ჯიქია.**

აგერ სულ ახლახან გამოიცა **ლევან მგალობლიშვილის** მონოგრაფია – **„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“,** რომელიც განკუთვნილია ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 70-ე წლისთავისათვის. წიგნის გამოცემაში გაწეული დიდი დახმარებისათვის ავტორი გულწრფელ მადლსა სწირავს რუსეთის გამომცემლობა **„ნაუჩტექლიტიზდატის“** გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს, **აკადემიკოს თამაზ სამხარაძეს**. ჩვენს ყურადღებიან მკითხველს უთუოდ ახსოვს აკადემიკოს თამაზ სამხარაძეზე 2010 წლის 7 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკის“ ვრცელი პუბლიკაცია – უცნობი ცნობილი თანამემამულე, ანუ ჩვენი დროის გმირი.

ლ. მგალობლიშვილი ცნობილი მკვლევარია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგში. მან ამ თავისი ახალი შრომით სრულიად ახალი სიტყვა თქვა – ფაქტობრივად ქართული მეცნიერების ისტორიის, მეტ-ნაკლებად სრული ისტორიის, შექმნის მოწმენი გაგვხადა.

როგორც წიგნის რედაქტორი სამართლიანად წერს, მონოგრაფიაში ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების, საარქივო და ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განვითარების ძირითადი ეტაპები, 70 წლის განმავლობაში განვლილი გზა. მონოგრაფიაში მიუკერძოებლად არის შეფასებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების როლი საქართველოში მეცნიერების განვითარებაში. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის ცხოვრებაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის შესწავლას და ამ ფონის გავლენას მეცნიერების განვითარებაზე.

მონოგრაფია გამოირჩევა პრობლემებისადმი ფართო და ღრმა მიდგომით, რამაც ავტორს საქართველოში მეცნიერების ფორმირებისა და განვითარების ერთიანი სურათის შექმნის საშუალება მისცა.

მოდით ერთად გადავავლოთ თვალი ამ უალრესად შთამბეჭდავ სურათს, ვნახოთ, როგორ ვითარდებოდა ქართული მეცნიერება 70 წლის მანძილზე, მოკლედ აღვნუსხოთ, რა შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა, რით გაამდიდრეს და რა ძალა შემატეს საერთო საკაცობრიო წინსვლას. ამას უწინარესად იმათ გასაგონად ვწერ, ვინც ვიწრო თვალით უყურებს ჩვენს ეროვნულ აკადემიას, რომელიც მარტოოდენ წინა თაობების ღირსეულ წარმომადგენელთა საიუბილეო თარიღთა აღმნიშვნელ სამეცნიერო დაწესებულებად წარმოუდგენია, არადა, წინა თაობის საშვილიშვილო ღვაწლის დაფასებასთან ერთად, რაც უთუოდ აუცილებელია, იქ იმ ახალ საშვილიშვილო ღვაწლთან გვაქვს საქმე, რასაც ამჟამად ქმნის ქართული ინტელექტი, ანუ რასაც ქმნიან, როგორც ერთი ჩვენი წინაპარი იტყოდა, კაცნი სწავლითა უფსკრულნი...

**აი თვითონ სურათიც...**

აქ, ჩვენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში **შექმნილია ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკასა და მექანიკაში, ფიზიკასა და გეოლოგიაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში და მეცნიერების თითქმის ყველა სხვა დანარჩენ დარგში.**

ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებულმა ფრიად მნიშვნელოვანმა მიღწევებმა მსოფლიოში გაუთქვეს სახელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სადაც შესრულებულ სამუშაოთა ავტორები სხვადასხვა დროს **ლენინური და საკავშირო სახელმწიფო პრემიების ლაურეატები გახდნენ,** რაც აწ გარდასულ ჟამს ყველაზე მაღალ შეფასებად ითვლებოდა, ყველა ლაურეატი ქართველი მეცნიერის გვარს არა კი არა, ვერ ჩამოვთვლი, რამეთუ ძალიან გრძელი სია გამოვიდოდა (წიგნში ეს ყველაფერი ზუსტადაა აღნუსხულიძ.

მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქართველ **მათემატიკოსთა** და **მექანიკოსთა სკოლის** ფუნდამენტურმა ნაშრომებმა. საყოველთაოდ ცნობილია ამ სკოლის წარმომადგენელთა მეცნიერული კვლევის შედეგები ისეთ მიმართულებათა მიხედვით, როგორიც არის სინგულარულ-ინტეგრალური განტოლებები, დრეკადობის მათემატიკური თეორია და გარსთა თეორია, განზოგადებული ანალიზური ფუნქციები, ვარიაციული გათვლებისა და ოპტიმალური პროცესების თეორია, მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანები... ეს სიაც ძალზე გრძელია.




**ქართველმა ფიზიკოსებმა** ღირსეული წვლილი შეიტანეს კოსმოსური სხივებისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, მაღალი ენერგიების ფიზიკაში, დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში, მყარი სხეულის ფიზიკასა და გამოყენებით ფიზიკაში... მაღალი შეფასება ხვდა წილად ისეთ სამუშაოებს, როგორიც არის ელემენტარულ ნაწილაკთა და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურაში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა, მაღალი ენერგიების ნაწილაკთა რეგისტრაციის ახალი მეთოდის – სტრიმერული კამერის შექმნა.

საყოველთაოდაა აღიარებული **ქართველ ფიზიოლოგთა** სკოლის მიერ დადგენილი ცენტრალური ნერვული და კუნთოვანი სისტემების მოქმედების ძირითადი კანონზომიერებანი, მეხსიერების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების დამუშავების, ძილ-ღვიძილის ციკლის რეგულაციის და ტვინის ფუნქციური მდგომარეობის ნეირობიოლოგიური საფუძვლების, ადამიანის ნეიროპათოლოგიური სინდრომების და უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევების პრინციპულად ახალი მოდელების და ფიზიოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევის შედეგები.

ფართოდ სახელგანსმენილია ქართველი გეოლოგების მიერ ტექტონიკაში, სტრატიგრაფიაში, პალეოვულკანოლოგიაში, პეტროლოგიასა და სასარგებლო ნამარხების გეოლოგიაში შესრულებული გამოკვლევები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სასარგებლო წიაღისეულის ფორმირებაში ვულკანიზმის როლისა და საქართველოს მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმის შესწავლა.

**ქართველ ფსიქოლოგთა** თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა, უწინარესად დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიამ და იმის მიერვე აღმოჩენილმა განწყობის ახალმა ილუზიამ, რომელმაც მეცნიერებაში **„უზნაძის ფენომენის“** სახელწოდება მიიღო, აგრეთვე ერთიანი სუბიექტის საქმიანობის არსის პრობლემის გადაწყვეტამ განწყობის ცნების საფუძველზე – მსოფლიო აღიარება მოუპოვა ქართველ ფსიქოლოგთა სკოლას.

საგულისხმო შედეგები აქვთ მიღებული ქართველ მეცნიერებს **ფიზიკური** და **ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა** და **ელექტროქიმიის, მეტალურგიის** დარგში. უმაღლესად არის შეფასებული ისეთი სამუშაოები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აგრეგატ „400“-ის ავტომატიზაცია და მექანიზაცია, ელექტროლიზური მანგანუმის მიღების მეთოდის შემუშავება და ამ მეთოდის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დანერგვა...

მსოფლიოში კარგად იცნობენ ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიების შედეგებს **სამშენებლო მექანიკისა** და **სეისმომედეგობის, სამთო მექანიკისა** და **მანქანათა მექანიკის, მართვის სისტემების** და **კიბერნეტიკის და ტექნიკის მეცნიერებათა სხვა დარგებში.**

საქართველოში მძლავრად განვითარდა ბიოლოგიის ტრადიციული და თანამედროვე დისციპლინები – **ბოტანიკა, ზოოლოგია, პალეობიოლოგია, ექსპერიმენტული მორფოლოგია, ბიოტექნოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა...** დღეს მთელ მსოფლიოში ეწევა ანგარიში ფუნდამენტურ ნაშრომს – **„ევოლუციური პალეონტოლოგიის ისტორია დარვინიდან დღევანელ დღემდე“.**

ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა უშრეტი წყარო გახდა **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალი მიმართულების განვითარებისათვის.**

ფუძემდებლური სამუშაოებია შესრულებული **ჩვენი ხალხის წარმოშობისა** და **ისტორიის, ქართული** და **კავკასიური ცივილიზაციის ისტორიის, საქართველოს, კავკასიისა** და **ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური** და **სხვა პრობლემების კვლევის დარგში.** ჩვენი ისტორიკოსების მიერ შექმნილია ფუძემდებლური ნაშრომები – **„ურარტული სოლისებური წარწერები“, „ნაირი ურარტუ“, „საქართველოს ისტორია ძველი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე“.** არც ეს სიაა მოკლე.

ქართველ მეცნიერებს მსოფლიო მნიშვნელობის პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენები აქვთ **დმანისის** ნაქალაქარის ტერიტორიაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სინას მთაზე აღმოჩენილი **ალბანური დამწერლობის გაშიფრვა, „ტროა-უდაბნოს“** სამეცნიერო არქეოლოგიური პროექტის დაფუძნება, **იბერიულ-კავკასიური ენების** შესწავლის მიზნით ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები. მსოფლიოში ბევრი მეცნიერის სამაგიდო წიგნად არის ქცეული ჩვენი ლინგვისტების ფუნდამენტური ნაშრომი – **„ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“.**

საერთო აღიარება არ აკლია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებს **ქართული ლიტერატურის, არქეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში...**

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ეროვნული და უცხოური გრანტების მოპოვება გახდა. კვლევა-ძიების დაფინანსების ამ ფორმამ საკმაოდ ფართო გავრცელება მიიღო. აკადემიის წევრები მოპოვებული უცხოური გრანტების დაფინანსებით აწარმოებენ კვლევა-ძიებას მათემატიკასა და ფიზიკაში, ბოტანიკასა და ქიმიაში, ბიოტექნოლოგიასა და ცოდნის სხვა დარგებში. ამასთანავე, მეცნიერული კვლევის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით აკადემიის წევრები ჩართული არიან უცხოურ პროგრამებში და ასრულებენ საკვლევაძიებო სამუშაოებს.

მხოლოდ 2010 წელს აკადემიის წევრთა მიერ გამოიცა 55 წიგნი, მათ შორის 14 – საზღვარგარეთ. ამავე წელს გამოქვეყნდა 412 მეცნიერული პუბლიკაცია, აქედან 159 გამოცემული იყო მაღალი რეიტინგის მქონე საზღვარგარეთის პერიოდულ ლიტერატურაში. აკადემიის წევრებმა წლის განმავლობაში მოიპოვეს 45 გრანტი, აქედან ოცს – საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები აფინანსებდნენ.

**და თუ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, მეცნიერული თვალსაზრისით, კვლავ მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ეს, რა თქმა უნდა, მსოფლიოში აღიარებული ზემოაღნიშნული სამეცნიერო სკოლების უდავო დამსახურებაა.**

როცა ამ დიდ ქართულ სამეცნიერო პოტენციალზე ვფიქრობ და არც ქართული ინტელექტის პოლიტიკური გაქანება მავიწყებს თავს, ასე მგონია, რომ ქართველებს მსოფლიო ისტორიაში XX საუკუნეზე უფრო დიდი და მრავალმნიშვნელოვანი საუკუნე არ გვქონია, მართალია, ძალიან რთული, მაგრამ ბევრი გაგებით, მრავალმნიშვნელოვანი.

მრავლისმეტყველ მნიშვნელობას იძენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია II სიტყვები,** ავტორის მიერ წიგნისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული: **„მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, არის უდიდესი საუნჯე, ინტელექტუალური საუნჯე საქართველოსი...“**

საუნჯეს კი, მოგეხსენებათ, დაცვა და გაფრთხილება უნდა, პროფესორ ლევან მგალობლიშვილის ეს ფრიად საყურადღებო მონოგრაფია უწინარესად სწორედ ამას ისახავს მიზნად.

**გურამ გოგიაშვილი.**

***P. S. უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული რომ ვიყო, წერილის ბოლოში ერთი ჩემი მეგობარი სწავლულის აზრს მოვიყვან. გვარს არ დავასახელებ, რადგან, ალბათ, ამ აზრისაა დღეს ყველა ქართველი მეცნიერი, ვისაც კი ქართული მეცნიერების ხვალინდელი ბედი აფიქრებს:***

*სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ჩამორთმევამ (ასეთი სტატუსი 2006 წელს მიენიჭათ) და უმაღლეს სასწავლებლებთან მიერთებამ, ამ ინსტიტუტების ისედაც მწირი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დაკნინება გამოიწვია, – მეუბნება ჩემი ზემოხსენებული მეგობარი სწავლული.*

*სამწუხაროდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების უმრავლესობა უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ნაწილი ფაქტობრივად აღარ მოქმედებს, მათ შორის ინსტიტუტები, რომლებიც ეროვნულ პრობლემატიკაზე მუშაობდნენ.*

*შეცდომაა დაშვებული იმ გაგებითაც, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ახლა უკვე არც ერთი ინსტიტუტი არ არის, რომელიც ფუნდამენტური მეცნიერების პრობლემებს ამუშავებდეს.*

*აკადემიის სისტემიდან ყველა ინსტიტუტის ერთი ხელის მოსმით გამოყვანა, რა თქმა უნდა, ძვირად დაუჯდება როგორც სამეცნიერო საზოგადოებას, ისე მთლიანად ჩვენს ქვეყანას.*

*შექმნილ ვითარებაში, როცა რეალური საფრთხე ემუქრება ჩვენში მეცნიერებას (განვითარებაზე აღარაფერს ვამბობთ), რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და მრავალ სამეცნიერო დარგში თვითონ განსაზღვრავდა ამ დონეს, საჭიროა სასწრაფო მიშველება, ანუ ფინანსურად ხელის შეწყობა.*

*უწინარესად, ქვეყნის მთავრობამ, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის მონაწილეობით, უნდა დასახოს კონკრეტული პროგრამა, რაც ამჟამინდელი ჩიხიდან გამოიყვანს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობას, რომელთაც ჯერ კიდევ, ძირითადად, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მეცნიერული პოტენციალი და რამდენადმე მატერიალური ბაზაც.*

*სამთავრობო დონეზევე უნდა გადაწყდეს აგრეთვე აკადემიაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მეტად მტკივნეული პრობლემაც, რომლის მოგვარება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერების შემდგომ განვითარებას. შესაბამისი დონის ახალგაზრდა მეცნიერული კადრები, საბედნიეროდ, ქვეყანაში ჯერჯერობით არიან, თუმცა ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრს, უკვე ქვეყნიდან წასულთა მსგავსად, თვალი უცხოეთისკენ უჭირავს.*

*არის კიდევ სხვა საჭირბოროტო საკითხებიც, რომელთა გადაწყვეტისთვის კვლავ საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა და დახმარება, რათა არა მარტო აღვუდგინოთ ქართულ მეცნიერებას თავისი ოდინდელი სახელი, არამედ ახალი ძალაც შევმატოთ.*

***გ. გ.***

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2011 წლის 29 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ — ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამოცხადებული ობიექტიდან №17 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №17 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

◉ მხატვრის სახელოსნოში



# დარდი – გაუნელებელი...

### ოცი წლის წინათ

**მტრისას, ოცი წლის წინათ ამ დროს, თბილისში რომ ტრაგიკული ამბები ტრიალებდა... მაშ, ზუსტად ოცი წლის წინათ...**

ოცდაორ დეკემბერს გამთენიისას ესროლა ქართველმა ქართველს, მერე და მერე კი, რადაი „შეეჩვივნენ“, ორი კვირის განმავლობაში დაუნდობლად ესროდნენ ერთმანეთს, დაანგრიეს და გადაბუგეს რუსთაველის პროსპექტი, რომელსაც მერე და მერე კი ეშველა, მაგრამ დანგრეულ-გადაბუგული დარჩა ქართული სული, საბოლოოდ დამარცხდა და დასამარდა საუკუნეებგამოვლილი ჩვენი ნატვრა – ქართველების ერად დგომისა.

„შეეჩვივნენ“-მეთქი და, აკი, სულ მალე მთელ საქართველოს მოედო სამოქალაქო ომი, რომელსაც ვერც „სამხედრო საბჭომ“ უშველა და ვერც შევარდნაძის ჩამოსვლამ მოსკოვიდან...

გაიხარა მტერმა, ჩვენ კი დაგვრჩა გაუნელებელი დარდი, დარდი იმისა, როგორც სულგანათლებული არჩილ სულაკაური წერდა: „ქართველი რომ ქართველს ესვრის, ტყვია ხვდება საქართველოს!..“

მართლაც, მაშინდელი, ოცი წლის წინანდელი „ტყვიამოხვედრილი“ საქართველო დღესაც ვერ გამართულა წელში და სულ ტყუილად აბრიყვებს (აბრიყვებს?ძ „ნაცმოძრაობა“ იმერ-ამერს: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“.

### ოცი წლის შემდეგ

**როგორ არის „კარგად“ თუ ისევ უიმედოდაა ქვეყანა, როგორ არის კარგად თუ ეს – ღმერთის საგარაკო, მარიამის წილხვდომილი სამოთხე ისევ და ისევ შეჩერებია „ცრუქაქუნა“ პოლიტიკოსების ხუშტურს, საშველი კი არ ჩანს.**

– არ ჩანს საშველი, – მეუბნება იმ დღეს ბრწყინვალე ქართველი ფერმწერი **ედმონდ კალანდაძე** – აი, ვნახოთ, ბიძინა ივანიშვილი გონიერი და ღონიერი კაცია... ზვიადი გააძციეს სამშობლოდან და მოკლეს, ვისაც ქართული ჯიგარი ჰქონდა, გაანადგურეს... ახლა ვართ „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“... ეს არის საქმე?..

ედმონდ (გაბრიელძ კალანდაძის სახელოსნოში ადრეც ვყოფილვარ. ამ ცამეტი წლის წინათ რუსთაველის პრემიის მინიჭება მივულოცე ბრწყინვალე ფერმწერსა და მამულიშვილს. ხანი თავისას შვრება, – წნევები მაწუხებს, გუშინ ძლივს გადავრჩიო, მეუბნება.

მხატვრობა მამამ – ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ და კრიტიკოსმა ლავროსი კალანდაძემ შეაყვარა, ყმაწვილს არაერთხელ დაათვალიერებინა მოსკოვის სამხატვრო მუზეუმები, მერე კი, როდესაც ედმონდმა უკვე ცხოვრების მიზნად ფერწერა აირჩია, მამა – დიდად განათლებული კაცი – ხშირად აძლევდა რჩევა-დარიგებას მხატვრობით „ტვინდასეტყვილ“ ვაჟიშვილს.

მერე იყო თბილისის სამხატვრო აკადემია და იქ სწავლა 14(?ძ წელიწადს, რადგან ბარე ორჯერ გარიცხეს „მოურჯულებლობის“, „სხვანაირი“ აზროვნების გამო, მერე საფრენოსნო სასწავლებელი და მფრინავად – ფრონტზე... მერე ისევ აკადემია და დავით ციმაკურიძის სახელოსნო...

მოგვიანებით თვითონ ასწავლიდა აკადემიაში პროფესორი ედმონდ კალანდაძე...

– ახლა ქე ვარ ასე... აღარავის სჭირდება ჩემი ლექცია და რჩევა-დარიგება... ღმერთმა ხელი მოუმართოთ...

– ისე, რას ფიქრობთ, ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს? მხატვრობას ვგულისხმობ, ცხადია...

– რატომაც არა... თუმცა გაიაფდა ნიჭი, ადვილი გახდა მწერლობაც, მხატვრობაც... რეკლამის თავი თუ გაქვს, შენია ქვეყანა...

– ყრილობაზე რა ამბავი იყო, გაიგეთ?.. ხომ არ ესწრებოდით?

– რასა კაცო, მხატვართა კავშირის ყრილობას?.. რა მინდოდა!.. რაღა დროს მხატვართა კავშირია...

– თქვენ, ცხადია, გირჩევნიათ, ფიროსმანი რომ ნატრობდა, ის სიტუაცია – სამოვრის ირგვლივ შემოკრებილი მხატვრები, ჩაის სმა და საუბარი სახვით ხელოვნებაზე...

– იცოცხლეთ, კარგი იყოს...

– ბატონო ედმონდ, თქვენს კაცობას, თქვენს შემოქმედებას ისეთი ქართული მუხტი ახლავს, რა გასაკვირია, რომ ეროვნული ხელისუფლების, ზვიად გამსახურდიას საქმის მხარდამჭერი ყოფილიყავით... კულტურის მინისტრის თანამდებობაზეც დათანხმდით...

– რატომ უნდა მეთქვა უარი? ბოლოს და ბოლოს ვიქტორ ჰიუგო იყო საფრანგეთის კულტურის მინისტრი და მე ვინ ვარ?!. სხვათა შორის, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არც „მრგვალი მაგიდისა“... მე, რაც, ასე თუ ისე მესმოდა, ვეცადე იმ საქმეში დავხმარებოდი გამსახურდიას. დიდხანს არ ვყოფილვარ. გააძციეს და მეც დავწერე განცხადება გადადგომის შესახებ. მთელ ცივილიზებულ სამყაროში ხომ ასეა მიღებული: თუ ხელისუფლება მიდის, მინისტრებიც უნდა გადადგნენ. თუმცა კი სამხედრო საბჭოდან, მგონი, ჯაბა იოსელიანმა დამირეკა – შენ ხელს ვერავინ გახლებს, იმუშავეო...

– დღევანდელ ხელისუფლებაზე რას იტყვით?

– აბა, რა გითხრათ?.. არ ვარ კმაყოფილი!.. ხალხს ლუკმაპური ენატრება... კარგით, მე ვიღაცა რაღაცას მაჩუქებს, სურათს გავყიდი, უბრალო პენსიონერმა რა ჰქნას?.. მე რომ მთელი დღე ვიმუშაო, 50 ლარის მარტო საღებავი მჭირდება.



* * *

მუშაობით კი მაინც მუშაობს, ერთიმეორეზე უკეთესი ფერწერული ტილოებითაა სავსე მისი სახელოსნოს კედლები... მუშაობს 88 წლის მხატვარი, ცხოვრებამ რომ ბევრი შემოქმედებითი აღმაფრენა, თუმცა ბევრი ძირმწარეც აგემა, მეოცე საუკუნის უდიდეს ომს და ოცი წლის წინათ ქართველების ურთიერთდაუნდობლობას მოასწრო, დაუტოვა დარდი – გაუნელებელი...

– როდემდე უნდა ვიყოთ ასე ერთმანეთს დაპირისპირებულნი და სხვისი ხელის შემყურენი?.. ისეთი სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში, შეიძლება ისევ გავარდეს თოფი, ქართველს განა ჭკუა დაუშლის?! – ფიქრიანი თვალებით მეუბნება ჩემი მასპინძელი.

ჰაი, ჰაი, რომ მართალია.

**ვილენ მარდალეიშვილი**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი – შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს აუქციონს აბაშის რაიონი, სოფელ ნორიოში მდებარე ნონა ძველაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** აბაშის რაიონი, სოფელი ნორიო (საკადასტრო კოდი: 40.07.01.140), სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 0.16ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, დაშენების ფართი №1 – 153.0კვ.მ., №2 – 26.8კვ.მ.;
2. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. **უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 24023.89 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს პლიუს 2077.44 ლარი საარბიტრაჟო მოსაკრებელი და 1675,88 ლარი სპეციალისტის მომსახურების საფასური;
4. **აუქციონის დაწყების დრო:** 2012 წლის 6 იანვარი, 12:00 საათი;
5. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36;
6. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნონა ძველაია (პირადი №02001018662), მისამართი: აბაშა, თავისუფლების ქ. №98;
7. **მოვალეები:** ი/მ „შუქური ჯოჯუა“ (პირადი №02001002133) და პაატა ბოკუჩავა (პირადი №02001008850);
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

***ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები აბაშის რაიონი, სოფელ ნორიოში (საკადასტრო კოდი: 40.07.01.140) მდებარე უძრავ ნივთზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2012 წლის 6 იანვრის 12.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36;***

◉ წკეპლიკა

# პრეზიდენტის მრჩევლებზეც ხომ არ წაგვესაუბრა...

**ავადვესახსენებელ აგვისტოს დღეს თუ ურჩია უმაღლეს მთავარსარდალს – არ გვინდა, ცხინვალს ნუ დავარტყამთო, ეს კი მაინც ადგა და ცაცხლის გახსნის ბრძანება გასცა?.. ნეტავ ახლა თუ ურჩევს ვინმე – არ გინდათ, ბატონო პრეზიდენტო, ყოველდღე რაღაცის გახსნა, კლინიკები, სკოლები თუ აუზები, მინისტრებს გაახსნევინეთ, თქვენ ნამდვილ სახელმწიფო საქმეებს მიხედეთო, – ეს კი მაინც ხსნის და ხსნის? ნეტავ სულ ახლახან ფოთის ახლოს იქაურობის „გალაზიკების“ იდეა რომელიმე მრჩეველმა მიაწოდა, თუ თავად „მიიწოდა“, თავად „მიირჩია“?..**

**არა, პოლიციის შენობები თუ გავამჭვირვალეთ მიშა-ვანოს ყოვლისშემძლე და ყოვლისშემძვრელ ნებას აყოლით, სახელისუფლებო ხვეულებსა თუ ლაბირინთებში ამდენი რამ გაუმჭვირვალი რატომ რჩება? თუნდაც მრჩეველთა საქმიანობა... ვინ არიან-მეთქი, დასაწყისში რომ ვიკითხე, მთლად ესეც არაა საქმე, ერთი-ორზე მსმენია, წამიკითხავს, მრჩევლები არიანო – ვთქვათ, ალინა (თუ ალანაძ გაგლოევა, ნოდარ გრიგალაშვილი... ალინა-ალანა იქნებ სამინისტრე ქალების კადრებს არჩევდეს და ურჩევდეს; ნოდარ-ბატონი, რამდენადაც მახსოვს, ურიგო ლიტერატორი და ურიგო მოქართულე არ უნდა იყოს და ისევ სავარაუდოდ, მეტყველებით რეკომენდაციებს აძლევდეს, ეგებ, ქვეყნის მეთაურს, თუმცა იმის შელანძულ ქართულ „რეჩებს“ ეს, მაინცდამაინც, არ ეტყობა. სხვები ვინ არიან და რას უკეთებენ?..**

**ზემოთ ისიცა ვთქვი, თუ ეს ჩვენი პრეზიდენტი რჩევებს არ იკარებს და თავისას მიერეკება, მრჩევლები რაღა საჭიროა-მეთქი. მერიის გამაოგნებელი და პრესის დამპრესავი ჯიხურ-კომპანიის წყალობით ასობით საწყალობელი მეჯიხურე, იმათ რიცხვში დევნილებიც, უმუშევარი დარჩა და უფუნქციო მრჩევლებს ვერ შეელევიან?**

**მართლაცდა, ვინ არიან ეგ მრჩევლები, რამდენნი, როგორს იღებენ ხელფასებს, რას ან რა ფორმით ურჩევენ თავიანთ მაღალ ბოსს? ბოლო კითხვა გამორჩეულად საგულისყურო წამომეჩვენა: თუ რასმე გონივრულს ურჩევენ, მაშინ სისულელეებს რატომ ლაპარაკობს და არანაკლებ სულელურს რატომ ჩადის მიხეილ-ბატონი? ხოლო საქმე თუ ისეა, რომ მრჩევლები კი, ჭკვიანურს ურჩევენ, ოღონდ ის, აგრე თავნება და თავქეიფა, ყურს არავის არ ათხოვებს, არავის არაფერს არ უჯერებს, ყველაფერს თავის ხუშტურზე მიერეკება – მაშინ რაღა საჭიროა მრჩეველთა ინსტიტუტი?..**

**მაგალითებს მოვუხმოთ. მრჩეველთა შორის სამხედრო სპეციალისტიც იქნება (უნდა იყოს!ძ და ნეტავ იმ ავადმოსაგონარ და**

**ბერდია ბედოიძე**

ჭიდაობა

# სეზონი დაავგვირგვინეს



**გასულ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში“ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა რეგიონის 166 ფალავანი მონაწილეობდა. ამგვარი სიმრავლე იმით იყო გამოწვეული, რომ ამ სახეობაში ლონდონის ოლიმპიადის მხოლოდ ერთი ლიცენზია (მანუჩარ ცხადაიაძ გვაქვს და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების სურვილი და პრეტენზიაც ბევრს აქვს. ასპარეზობას, სამწუხაროდ, რამდენიმე სახელოვანი ფალავანი დააკლდა. კერძოდ, ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (76ძ, მსოფლიო ჩემპიონი და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე (96ძ და ვლადიმერ გეგეშიძე (84ძ. მათმა არყოფნამ ამ წონებში პირველობისთვის ბრძოლა უფრო დაძაბული გახადა.**

ტურნირზე სპეციალისტთა და გულშემატკივართა მოწონება დაიმსახურა წლევანდელი ევროპის ჩემპიონის რევაზ ლაშხისა (60ძ და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მანუჩარ ცხადაიას (66ძ ჭიდაობამ, ისინი ამჯერად ზედა წონებში გამოდიოდნენ, მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა არ გასჭირვებიათ. ლაშხმა ფინალში უჩა შავაძეს აჯობა, ცხადაიამ კი ზურაბ დათუნაშვილი დაჯაბნა.

გაუწყებთ წონების მიხედვით საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისიძ, 2. გოდერძი დავითაძე, 3. ზაჩანა ფუტკარაძე (ორივე – აჭარაძ, ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთიძ.

**60 კგ.** 1. ირაკლი ჭოჭუა (თბილისიძ; 2. ფირუზ წულუკიძე(აჭარაძ, 3. გოგიტა და გოჩა გოგიბერაშვილები(ორივე –სამტრედიაძ.

**66 კგ.** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომიძ, 2. უჩა შავაძე, 3. მამუკა ხოზრევანიძე, პაატა ბაკურაძე (სამივე – აჭარაძ.

**74 კგ.** 1. მანუჩარ ცხადაია (ხობიძ, 2. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისიძ, 3. გოგა აფრიამაშვილი (ადიგენიძ, შმაგი გულიაშვილი (გარდაბანიძ.

**84 კგ.** 1. რევაზ ნადარეიშვილი (თბილისიძ, 2. გიორგი ცირეკიძე (ქუთაისიძ, 3. მათე სოფაძე (ბაღდათიძ, ჯონი მინაძე (თბილისიძ.

**96 კგ.** 1. სოსო ჯაბიძე (ბაღდათიძ, 2. ამირან ზარნაძე (თერჯოლაძ, 3. გიორგი მორჩილაძე (თბილისიძ, ირაკლი ქაჯაია (წყალტუბოძ.

**120 კგ.** 1. გურამ ფერსელიძე (აჭარაძ, 2. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთიძ, 3. სერგო გოგისვანიძე (ქუთაისიძ, რამინ შაქარაშვილი (აჭარაძ.

**ლექსო ცინცაძე**

თაობა

# მისაბაძი მაგალითი



შეგირდი და ოსტატი: ლევან პავლიაშვილი და ჯემალ მელაძე.

**დედაქალაქის 161-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – აკაკი ხუსკივაძე, მაგიდის ჩოგბურთის სექციის ხელმძღვანელი – ნინო ნინოშვილიძ სპორტულ დარბაზში გაიმართა აღნიშნული სასწავლებლის თასის ღია გათამაშება, რომელიც დამდეგ შობა-ახალ წელს მიეძღვნა (მთავარი მსაჯი – სალომე ისაკაძეძ. სარბიელზე სხვადასხვა ასაკის 105 მცირე ჩოგნის ოსტატი გამოვიდა, რომლებიც თბილისს, აბაშას, კასპს, რუსთავს, სურამსა და თელავს წარმოადგენდნენ.**

**კვარცხლბეკი**

**1994 წელს დაბადებულნი. გოგონები.** თიკო გრაკალიშვილი, სალომე სოლაშვილი, დიანა ხომერიკი. **ბიჭები.** გიორგი კოპლატაძე, შოთა ძიძიგური, ლევან მელაძე.

**1996 წელს დაბადებულნი. გოგონები.** ლიზი კახაბრიშვილი, თეონა თვაური, ანი ალსაბაძე. **ბიჭები.** ზურაბ თებიძე, შალვა ყაზახაშვილი, ლევან პავლიაშვილი.

**1999 წელს დაბადებულნი. გოგონები.** მარიამ ტურაშვილი, მარიამ ყიფშიძე, მარიამ მუმლაძე. **ბიჭები.** ლაშა ლომია, ჯარჯი ღვინიანიძე, ლუკა ოქროსცვარიძე.

აღსანიშნავია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჯემალ მელაძის შეგირდთა წარმატება – მათ 2 ოქროს (ტურაშვილი, ლომიაძ, 1 ვერცხლისა (ღვინიანიძეძ და 1 ბრინჯაოს (პავლიაშვილიძ მედალი მოიპოვეს. მათგან განსაკუთრებულ ქებას ეს უკანასკნელი იმსახურებს, რომელიც 4 წლით უფროსებს ტოლს არ უდებდა და მხოლოდ მძაფრ ბრძოლაში დათმო პირველობა. საგულისხმო ფაქტი: ეს კვარტეტი თბილისის 111-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – მერაბ მეტრეველი) ილრმავებს ცოდნას, სადაც მაგიდის ჩოგბურთი სასწავლო პროგრამაშია შეტანილი.

დაგვეთანხმებით, მისაბაძი მაგალითია.



ჭადრაკი

# მეექვსემდე ჩამოქვეითდნენ



**თურქულ მარდინში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით 10 საუკეთესო ნაკრები იბრძვის სხვადასხვა სინჯის ჯილდოებისთვის. წინა ორი პირველობის გამარჯვებულია ჩინეთის ნაკრები (ორჯერვე მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუსები და უკრაინელები გავიდნენ, მეოთხე ადგილებით ქართველი დიდოსტატები დაკმაყოფილდნენ).** ეტყობა, აზიელები ტიტულს წლეულსაც იოლად შეინარჩუნებენ, რადგან შვიდი ტურის შემდეგ ქალთა მაქსიმალური რაოდენობით ერთპიროვნულად ლიდერობენ. მე-6 ტურში ჰოუ იფანმა და მისმა თანაგუნდელებმა ბერძნებს მოუგეს 3:1, მეშვიდეში კი ასეთივე ანგარიშით ქართველებს სძლიეს (ჰოუ იფანი – ნანა ძაგნიძე 0,5:0,5, ცზიუ ვენძიუნი – ლელა ჯავახიშვილი 1:0, ჟაო სიუ – ბელა ხოტენაშვილი 1:0, თან ჟონი – სალომე მელია 0,5:0,5ძ. ჩინელებთან შეხვედრამდე ჩვენებურები უკრაინელებს დაუზავდნენ.

**გაუწყებთ VI-VII ტურების დანარჩენ ორთაბრძოლათა შედეგებს. მე-6 ტური.** ინდოეთი – რუსეთი 1:3, თურქეთი – ვიეტნამი 0,5:3,5, სომხეთი – სამხრეთ აფრიკა 4:0. **მე-7 ტური.** სომხეთი – უკრაინა 1,5:2,5, ვიეტნამი – სამხრეთ აფრიკა 4:0, რუსეთი – თურქეთი 3:1, საბერძნეთი – ინდოეთი 1:5:2:5.

**სატურნირო მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ:** ჩინეთი – 14 (საერთო მონაგარი 23,5ძ, ინდოეთი – 11 (20,5ძ, რუსეთი – 10 (15,5ძ, უკრაინა – 8 (16,5ძ, ვიეტნამი – 8 (15,5ძ, საქართველო – 8 (15,5ძ, სომხეთი – 7 (15ძ, თურქეთი – 4 (9,5ძ, საბერძნეთი – 1 (7,5ძ, სამხრეთ აფრიკა – 0 (1ძ.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# ღირსეული აპოთეოზი

**ხშირად გვსმენია, პროფესიული კალათბურთის მთავარ ღირსებათაგანი ისაა, რომ იქაური შეხვედრების ბედი უკანასკნელ წამებზე წყდებაო.**

არ გეგონოთ, ისე დაგვიბნელდა თვალები, რომ ჩვენი სუპერლიგის დონეს ნბა-ს ვადარებდეთ. უბრალოდ, მაშინ, როცა პირუთვნელად ვამბობთ უარყოფით სათქმელს, იშვიათ დადებითსაც გვსურს შევაწიოთ ორიოდე თბილი სიტყვა.

ეროვნული ჩემპიონატის I წრის დასკვნითი ტურის ცენტრალურ მატჩზე მოგახსენებთ, რომელშიც მოვლენები მართლაც რომ დრამატულად განვითარდა და დაუვიწყარი კვანძის გახსნით დასრულდა.

**„არმია“ – „ოლიმპი“ 63:62**

საფინალო სასტვენამდე 8 წამით ადრე ბრძოლის გმირმა ნიკიცა სლიუკამ (22 ქულაძ მორიგი სამქულიანი ჩააგდო და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი პირველი დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არმიელთა თავკაცმა კოტე ტუღუშმა მაშინვე წუთშესვენება აიღო და ისეთი კომბინაცია „მოუხაზა“ შეგირდებს, რომელმაც მათ მორიგი გამარჯვება მოუტანა. ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ როგორი რთული განსახორციელებელია და ვარჯიშებზე რამდენი ოფლის ღვრას მოითხოვს, მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს გუნდის გამთამაშებელმა ბენჯამინ ვუდსაიდმა და მხსნელი შორეული ტყორცნის ავტორმა ჯერემი რიჩარდსონმა იციან, რომელმაც უკანასკნელ წამზე ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე.

რაც შეეხება მთლიანად დუელს, ლეგიონერთა „ბაირამობის“ ფონზე უჩვეულოდ მსუყე მონაგარს მოუყარეს თავი გამარჯვებულთა ადგილობრივმა მოთამაშეებმა – ბაზიაშვილმა და საყვარელიძემ, „ოლიმპი“ კი, სხვა კომპონენტებთან ერთად, ფსიქოლოგიური სიმტკიცისა და საკუთარი ძალების რწმენის გამოა ქების ღირსი, რაც ფავორიტთან 14-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრაში გამოიხატა.

და კიდევ. ვფიქრობთ, ლაშა გამყრელიძე (16 ქულაძ თანდათან სტაბილურ „ყოჩად“ ყალიბდება და იქნებ იმ დღესაც მოვესწროთ, რომ ეროვნულ ნაკრებში გამთამაშებლის პრობლემის ამოწურვასაც მოვესწროთ.



**დანარჩენი შედეგები:** „რუსთავი“ – შსს 63:117, სტუ – „სოხუმი“ 94:74, „ბათუმი“ – „ქუთაისი“ 80:107, „დინამო“ – თსუ 101:91.

**სატურნირო მდგომარეობა I წრის შემდეგ:** „არმია“ – 10, „ქუთაისი“, „ოლიმპი“ – 8-8, „სოხუმი“, შსს – 6-6, სტუ – 5, „დინამო“, თსუ – 4-4, „სამედიცინო“ – 3, „ბათუმი“ – 1, „რუსთავი“ – 0 მოგება.

**სუპერლიგა გაისად 5 თებერვალს განახლდება.**

* * *

**მაშინ, როცა ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა, ოკეანის გაღმა გაჭიანურებული ლოკაუტის შემდეგ ნბა-ს რეგულარული სეზონი დაიწყო.**

სასტარტო მატჩებში გამარჯვებები მოიპოვეს „ნიუ-იორკმა“, „ჩიკაგომ“, „ოკლაჰომამ“, „მაიამიმ“ და „კლიპერსმა“. ასე რომ, გულშემატკივრები არც შობა-ახალ წელს მოიწყენენ.

მემორიალი

# გვახსოვხარ, ზაზა!

**აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი წლეულს უკვე 23-ედ იმართება, ამჯერად საბურთალოს გიორგი ნემსაძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან სარბიელზე ძმების – კახა და ქართლოს ჭუმბურიძეების ინიციატივით.**



აღნიშნული ასპარეზობა, ტრადიციისამებრ, სეზონს აგვირგვინებს და მასში ლეგიონერებიც მონაწილეობენ. სწორედ ისინი ქმნიან ამინდს ფავორიტების – სეუ-ს, თსუ-ს და „კავკასიის“ თამაშში.

ფინალური შეხვედრა ხვალ გაიმართება.

# ამბები

## ვის უნდა დავუდგათ ძეგლი?

**ჩვენ ხელისუფლებას არ ენანება უცნაური და უგემოვნო, საეჭვო ღირსების ძეგლებისთვის ასეულ ათასების გაღება და შემდგომ ამით ტრაბახი, არადა გასაკეთებელი მართლაც ბევრია. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ხაშურის რაიონში, ქვიშხეთში რამდენიმე წელია იშლება ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიდი პატრიოტის და მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი. შენობაში შიგნით ჩამოსული წყალი ანადგურებს იქ არსებულ ექსპოზიციას და მთლიანად შენობას და მალე ამ მუზეუმიდან აღარაფერი დარჩება.**

ასევე ვერ მოინახა თანხა დიმიტრი ყიფიანის ძეგლის ან ბიუსტის დასადგმელად (მხოლოდ პროფესორმა გურამ ყორანაშვილმა გაიღო ამისთვის 3 ათასი ლარი თავისი წიგნის ჰონორარიდან, ხელისუფლებას კი კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდან ასეთი ეროვნული საქმისათვის).

იმედია, ეს ამბავი ბატონ ბიძინა ივანიშვილის ყურამდე მიაღწევს და ის გადაარჩენს ამ დიდი პატრიოტის სახლ-მუზეუმს განადგურებისაგან. ამას, როგორც მეზობელი და ხაშურელი, პირადად ვთხოვ ბ-ნ ბიძინას!

## რატომ არ იღებენ ფილმს დავით აღმაშენებელზე?

**რამდენიმე წლის წინათ ამ საკითხზე დიდი აჟიოტაჟი ატყდა საქართველოში, ახალი ხელისუფლება ქართულ საზოგადოებას ჰპირდებოდა უდიდეს ქართველ მეფეზე ფილმის გადაღებას, რაც მართლაც იქნებოდა დიდი მოვლენა ქართული კინოს და ჩვენი ერის ისტორიაში. გავიდა დრო და ფილმი კი არა, დავით აღმაშენებლის ძეგლიც ქალაქგარეთ გაიტანეს და ეს თემაც დაიხურა.**

2009 წელს ქართველმა მწერალმა (რომელიც ამჟამად დროებით ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრობსძ ვასო კუკუნაშვილმა დაასრულა და წიგნად გამოსცა შესანიშნავი 800-გვერდიანი რომან-ეპოპეა დავით აღმაშენებელზე – „ჯვარ-პატიოსანი“. ეს არის ფაქტობრივად ეროვნული იდეოლოგიის უმთავრესი საკითხების გაშლა და დავითის მიერ მისი პრაქტიკული განხორციელება – თუ როგორ უნდა უპატრონოს ერმა თავის თავს და ააშენოს ძლიერი, ეროვნული, ზნეობრივი სახელმწიფო.

ბ-ნ ვასოს მზად აქვს ამ წიგნის საფუძველზე შექმნილი კინო-სცენარიც, რომლითაც ძალზე დაინტერესდნენ ქართველი რეჟისორები სოსო ჯაჭვლიანი და თემურ ბაბლუანი („აგვისტოს 5 დღის“ სუსტი ფილმის გადაღებას, რომელიც 20 მილიონზე მეტი დაჯდა, ჯობდა ფილმი ამ თემაზე გადაეღოთძ.

იქნებ ისევ ბატონი ბიძინა დაინტერესდეს ამ საკითხით და ქართველობას აჩუქოს ეს დაუვიწყარი ძმნილება ფილმის სახით და ამით ძეგლი დაუდგას დავით აღმაშენებელსაც და საკუთარ თავსაც.

***P.S.* ისე, საარჩევნო რეკლამაზე, ბუკლეტებსა და ბილბორდებზე ამდენი ფულის დახარჯვას, მართლაც ამ ფილმის გადაღება სჯობს. ფილმით მიღებული ეფექტი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე რეკლამით. ამასთან სამთავრობო ტელევიზიებიც ველარ გამდიდრდებიან ამ სარეკლამო ფულებით. ამ ფილმის ეფექტი მთლიანად გადაფარავს იმ 300-მილიონიან ზარალსაც, რომელიც მთავრობამ მიაყენა ბ-ნ ბიძინას.**

## ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე

(როგორ დავეხმაროთ ქართულ ემიგრაციას)

**პარიზთან ახლოს, ლევილის ქართულ მამულში განისვენებს ქართველი პოეტი და პატრიოტი კოკი დადიანი. მის საფლავს ამშვენებს უნიკალური ეპიტაფია:**

**მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა,**
**ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,**
**სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე –**
**ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე!...**

შეუძლებელია ეკალი არ დაგაყაროს ამ ეპიტაფიის წაკითხვამ და ცრემლი არ მოგგერიოს.

საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში გალიეს ქართველმა პატრიოტმა ემიგრანტებმა თავისი სიცოცხლე, სამშობლოს სიყვარულში ნოსტალგიით ჩაიფერფლნენ და ველარ ეღირსნენ თავისი ლამაზი ქვეყნის ხილვას (თუნდაც გრიგოლ რობაქიძის ტრაგედია რად ღირს!ძ. საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო მათი ოცნება და გასაგებია ზოგიერთი მათგანის „გაბოროტება“ იმ „დემოკრატიულ“ მსოფლიოზე, რომელსაც მისი ქვეყნის უბედურება ფეხებზე ეკიდა:

**ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,**
**ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,**
**თუ საქართველო ვერ ვიხილე თავისუფალი,**
**ფერფლად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო...**

დღეს საქართველო დამოუკიდებელი (ფორმალურად მაინცძ ქვეყანაა, მაგრამ აქედან წამსვლელ ემიგრანტთა ნაკადი არ წყდება გაუარესებული სოციალური და სხვა უამრავი მიზეზის გამო. თუ ემიგრანტთა წინა თაობები პოლიტიკური მიზეზებით მიდიოდნენ უცხოეთში, დღეს უკიდურესი გაჭირვება, სიღატაკე და ვალები ერეკება ქართველობას უცხოეთში, საიდანაც ძალიან ცოტა ბრუნდება. მათი უმრავლესობაც უკვე არა იმდენად საქართველოს, არამედ თავისი ოჯახის და ნათესავების გადარჩენაზე ფიქრობს. მათი ხვედრიც ძალზე მძიმეა, „უცხოობაში რაა სიამე“, განსაკუთრებით იქ, სადაც ქართველებს მეორეხარისხოვან ხალხად გვთვლიან, ზემოდან გვიყურებენ და ისე გვექცევიან, როგორც სერიალებში კრიმინალებს ან მოსამსახურეებს. შეიძლება მაინცდამაინც ცუდ პირობებში არ იყო, მაგრამ ემიგრანტობის მძიმე ხვედრს ჯერ კიდევ არჩილ მეფე უჩიოდა:

**თუ კაცსა ყოფნა გრძლად მოხვდა,**
**უცხო თემსა და მიწებსა,**
**შარბათიც ჰქონდეს სასმელად,**
**ნაღვევლად აღმოიწებსა!**

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ახალგაზრდათა უმრავლესობა იმ ქვეყნებში აპირებს დარჩენას (მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ შინ მხოლოდ 30-50% ბრუნდება, ანუ ნახევარი მილიონი ქართველი აღარ დაბრუნდებაძ, თხოვდებიან და ქორწინდებიან იქაურებზე დამამცირებელი პირობებით (ხშირად ასაკოვან, მაგრამ ფულიან კაცებზე და ქალებზეძ, ოღონდ კარგად იცხოვრონ. მათ იმდენად აღარ აწუხებთ სამშობლოზე სევდა, ფრანგები ლამაზ სიტყვას „ნოსტალჟის“ რომ უწოდებენ. არადა, როგორ მოისაკლისებს მათ მალე საქართველო. ალბათ სიბერეში გაახსენდებათ თავიანთი სამშობლო, ბევრსაც ივიშვიშებენ, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

თუ სომხები ბოლომდე არ ფრანგდებიან, არ რუსდებიან და არ ქართველდებიან, ქართველთა უკვე მესამე თაობა (მამა-შვილი-შვილიშვილიძ ფაქტობრივად აღარ ფლობს ქართულ ენას და ქართულენადავიწყებული ქართველი მალე ეროვნებასაც დაკარგავს.

ქართულ ემიგრაციას ისიც ასუსტებს, რომ მათ არა აქვთ ემიგრანტული ცხოვრების გამოცდილება, ცალცალკე ებრძვიან პრობლემებს, უჭირთ გაერთიანება, კონსოლიდაცია და კოორდინაცია. იქ არსებული სათვისტომოებიც ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე, მათ არ ეხმარება საქართველოს ხელისუფლებაც.

ამიტომ ისევ ჩვენ უნდა დავეხმაროთ აქედან. ქართული ეკლესიის მორალური მხარდაჭერით ქართველ პატრიოტთა ჯგუფმა შექმნა სპეციალური საიტი ემიგრანტებისთვის ( გიმგ.გეძ, რომელზეც გაშუქდება ემიგრანტთა პრობლემები. ეს საჭიროა, რათა მათ არ გაწყვიტონ სულიერი კავშირი მშობელ ქვეყანასთან, იცხოვრონ ქართული ცხოვრებით.

ამ საიტზე დაიდება ქართული პოეზიის, სიმღერისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ანალიტიკური ხასიათის მასალები ზოგადქართული პრობლემების შესახებ, სამეცნიერო გამოკვლევები, სიახლეები კულტურის სფეროში. ეს ძალიან სჭირდება როგორც ემიგრანტთა უფროს თაობას, ისე პატარებს, რომლებიც ქართველებად უნდა გაიზარდონ. საიტი მალე მთელი დატვირთვით ამუშავდება.

## ამოცანა ლოგიკაში

**დასამალი არაა, რომ აშშ-ის, რუსეთის და აგრეთვე ევროკავშირის (გერმანია-საფრანგეთისძ ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე ვერც აზერბაიჯანში, ვერც საქართველოში და ვერც სომხეთში ხელისუფლების ცვლილება ვერ მოხდება და ახალი მმართველი ვერ მოვა.**

ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოდის.
გამოდის რომ...

... ამბობენ, რომ ხშირად მოღალატე ცოლის ქმარი ყველაზე ბოლოს იგებს მეუღლის ღალატის შესახებ, თუმცა ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ქმრებმა ეს ყველაფერი თავიდანვე კარგად იციან, მაგრამ საკუთარ თავს არ უტყდებიან ამის შესახებ.

ასევე პირველ რიგში ნაციონალებმა იციან, რომ ხელისუფლებას კარგავენ და ივანიშვილი მოდის, თუმცა თავის თავს არ უტყდებიან და ამაზე ერთმანეთში არ ლაპარაკობენ. ამბობენ იმასაც, რომ ნაციონალთა საშუალო და დაბალი რგოლები გულის სიღრმეში ბიძინას ემხრობიან, მაგრამ შიშით ამაზე საუბარს ვერ ბედავენ (გასაგებია, რადგან „ისინი“ თავისიანებსაც არ ზოგავენ – ეს შიდაპარტიული მონობა კი ყველას ყელში აქვს ამოსულიძ.

## ჩამშვები აპარატები

**ზოგიერთი უღირსი ქართველის მიერ თავისი თანამოძმის ჩაშვებას პოლიციაში და საგადასახადოში ხალხი დღემდე შეგუებულია და ხმამაღლა არ აპროტესტებს. ახლა ამას ჩამშვები საგადასახადო აპარატებიც დაემატა.**

ზაფხულიდან ყველა გადასახადის გადამხდელს ძალით აყიდინეს „ვილაც“ მონოპოლისტის მიერ შემოტანილი ახალი სალარო-აპარატები (თუმცა ძველებიც კარგად ართმევდნენ ამ მოვალეობას თავსძ. აპარატი 300 ლარზე მეტი ღირს. მას აქვს ჩიპი, რომელშიც ჩამონტაჟებულია მოსასმენი აპარატურა. თუ მისი მფლობელი დრაკონული კანონიდან ცოტათი გადაუხვევს ან მთავრობაზე აუგს იტყვის, აპარატი ამას აფიქსირებს და საგადასახადოს შეუძლია ეს მეწარმე მაშინვე დააჯარიმოს ან დააპატიმროს. ესეც ადამიანთა უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევაა და მეწარმეზე ზეწოლის განხორციელების და დაშინების ეფექტიანი იარაღი.

**ვაჟა შუბითიძე**

presage.tv

---

შვილი მარინა ბაქრაძე, სიძე თორნიკე ლაღიძე, შვილიშვილები ვახტანგ, თიკო ლაღიძეები, რძლები მაკა თავამაიშვილი, ნელი ბაგრატიონი, შვილთაშვილები ლევან ტურძელაძე, თორნიკე, თამუკა, ნიკოლოზ, თინა, ლიზა ლაღიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათელა თენგიზის ასული ჟღენტი**

გამოსვენება 27 XII, ვერის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიიდან 14 სთ.

---

დალი, აჩიკო ბახტაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათელა (ნანი) ჟღენტი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თამუნა, დათო თავამაიშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათელა (ნანი) ჟღენტი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნატალია აბულაძე, ტატა, დავით ხვედელიანები გულწრფელად თანაუგრძნობენ თამარ (ტატაძ და გიგა მახარაძეებს დედის, ღირსეული ქალბატონის

**ლილი ტაბატაძე-მახარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასახლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის მფლობელი, ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის დამაარსებელი

**ლილი ტაბატაძე-მახარაძისა**

---

ნათელა ვასაძე შვილებით მარიკა, ირინა დანელიებით, მათი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიყრმის მეგობრის და ნათლიის, განათლების დარგის ღვაწლმოსილი წარმომადგენლის, დიმიტრი მახარაძის ლამაზი ოჯახის დედაბოძის

**ლილი ტაბატაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის შვილებს გიგა და თამუნა მახარაძეებს.

---

მეუღლე თენგიზ კოლომიკოვი, შვილები ლია, ლეილა, სიძეები მერაბ მემარნიშვილი, თემურ ბოლღაშვილი, შვილიშვილები თენგო, ირაკლი ბოლღაშვილები, ზვიად და ნინიკო მემარნიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფაცია ხარძეიშვილი**

პანაშვიდი 25, 26 XII, 18 სთ. დაკრძალვა 27 XII, 14 სთ. გამოსვენება დოლიძის ქ. მე-8 კორპუსი, ბინა 4.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – „ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ დირექტორის მოადგილეს ბ-ნ ლევან კიკნაძეს ძმის

**მამული გიორგის ძე კიკნაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ფრიდონ ინჯია, ილია ინჯია, ავთანდილ იაშვილი, თეიმურაზ ბერიშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ლოლობერიძე, ვახტანგ თოდუა, ნუგზარ ბენდიაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბ-ნ ლევან კიკნაძის ძმის

**მამული გიორგის ძე კიკნაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვარი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბუხუტი (ბუთხუზძ ჭაჭუას დედის

**ნარგიზ დევიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზესტაფონის №16 რკინიგზის სკოლის 1960 წელს კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელზა ფერაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.

---

**ნომრის კარიკატურა**



– ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს თქვენი ბათუმი!
– ალბათ, ხშირად ჩამოდიხართ!
– მე არა, მაგრამ ჩემი სიდედრი კი ძალიან ხშირად და დიდხანს რჩება ხოლმე აქ...

ამირან ერაძის ნახატი.

ტესტი

# არგაცივების ხელოვნება

**გაიარეთ ტესტი და გაიგეთ, რამდენად არის თქვენი ორგანიზმი მზად წინააღმდეგობა გაუწიოს გაცივების დაავადებებს, რომლებიც ასე დამახასიათებელია ასეთი არამდგრადი პერიოდისთვის.**

1. თქვენი ძილის ხანგრძლივობა საშუალოდ არანაკლებ ექვსი-შვიდი საათია?
აძ დიახ; ბძ არა.

2. სტრესი იშვიათი სტუმარია თქვენს ცხოვრებაში?
აძ არა; ბძდიახ.

3. გიჭირთ დილით გაღვიძება?
აძ დიახ; ბძარა.



4. იმის მაგივრად, რომ მიიღოთ კონტრასტული შხაპი, თქვენ გირჩევნიათ ზედმეტი ხუთი წუთი ინებივროთ ლოგინში?
აძ დიახ; ბძ არა.

5. ჯდომითი სამუშაო გაქვთ?
აძ დიახ; ბძარა.

6. მეგობრობთ სპორტთან, რეგულარულად დადიხართ სატრენაჟორო დარბაზში ან ასრულებთ ვარჯიშს?
აძ არა; ბძ დიახ.

7. თუ გაქვთ ხოლმე თავბრუსხვევა, ხშირად თუ გაწუხებთ თავის ტკივილი?
აძ დიახ; ბძ არა.

8. იშვიათად ხართ ხოლმე სუფთა ჰაერზე?
აძ დიახ; ბძ არა.

9. თუ ხდება ხოლმე, რომ შეიგრძნობთ მოულოდნელ დაღლილობას, თუმცა საერთოდ არც გადაღლილხართ?
აძ დიახ; ბძ არა.

10. თქვენს მენიუში ხშირად არის ბოსტნეული და ხილი?
აძ არა; ბძ დიახ.

11. თითქოსდა არცთუ დიდი დატვირთვის დროს იგრძენით გულისცემა?
აძ დიახ; ბძ არა.

12. ეწევით?
აძ დიახ; ბძ არა.

13. თუ გაწუხებთ ქრონიკული დაავადებები?
აძ დიახ; ბძ არა.

14. თუ აწრთობთ თავს?
აძ არა: ბძ დიახ.

15. თუ ცდილობთ დაიცვათ კვების რაციონალური რეჟიმი?
აძ არა; ბძ დიახ.

16. თქვენი წონა ნორმის ფარგლებშია?
აძ არა; ბძ დიახ.

17. თქვენ გახდით გაღიზიანებული, ის კი, რაც სულ ახლახან გიმაღლებდათ განწყობილებას, უკვე აღარ გახარებთ?
აძ დიახ; ბძ არა.

18. თუ ამჩნევთ, რომ ქუჩაში, მიუხედავად თბილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა, მალე გეყინებათ ხელები ან ფეხები?
აძ დიახ; ბძ არა.

19. ჩვეულებრივად გყოფნით დრო, რომ დაისვენოთ შრომითი დღის შემდეგ?
აძ არა; ბძ დიახ.

20. თუ გაწუხებთ ძილის დარღვევა, თუ ხშირად გაქვთ დაძინებითი პრობლემა?
აძ დიახ; ბძ არა.

**ყოველ პასუხზე „ა" დაიწერეთ 2 ქულა; პასუხზე „ბ" ქულებს ნუ დაიწერთ**

**0-10 ქულა.** როგორც ჩანს, თქვენ სავსებით შეგიძლიათ იქონიოთ იმედი, რომ თქვენი ორგანიზმი წარმატებით ართმევს თავს ყველა გამოცდას და გაცივებითი დაავადებანი გვერდს აგივლიან იმის წყალობით, რომ თქვენ გონივრულად უხამებთ პროფილაქტიკურ საშუალებებს ცხოვრების ჯანსაღ წესს. ერიდეთ გაცივებას და განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ნუ იქნებით იმ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს.

**12-24 ქულა.** თქვენ იზიარებთ ძველ სიბრძნეს: „ის, ვინც არ ზრუნავს თავისი ჯანმრთელობისთვის, ჰგავს იმ ხელოსანს, რომელსაც არ სცალია ლესოს თავისი ინსტრუმენტები". მიუხედავად ამისა, ცდილობთ, განსაკუთრებით ახლა, დიდი ყურადღებით მოეკიდოთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაცივებითი დაავადებების პროფილაქტიკისთვის იყენებთ ისეთ საზოგადოებრივად აღიარებულ ხალხურ საშუალებებს, როგორიცაა ძახველი (ყველა სხვა რამის გარდა, ის გვეხმარება, რომ დავმშვიდდეთ და მოვიხსნათ დაძაბულობაძ, ასკილი, ქაცვი (რაც ბრწყინვალე საშუალებაა იმუნიტეტის ასამაღლებლადძ, ლიმონი, მოცხარი, თაფლი და, რა თქმა უნდა, ტრადიციული ხახვი და ნიორი. ნუ დაივიწყებთ ფიტოპრეპარატებსაც. ნუ გადაილლებით და ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე. ნუ დაიზარებთ გაიკეთოთ პროფილაქტიკური აცრები, ამის წინ აუცილებლად მიიღეთ ექიმის კონსულტაცია. გახსოვდეთ: ავადმყოფობის თავიდან აცილება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე მისი მკურნალობა!

**26-40 ქულა.** თქვენ რისკის ჯგუფში იმყოფებით. დროა დაფიქრდეთ, თუ როგორ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. ეცადეთ, ბევრი იმოძრაოთ! უპირატესობა მიანიჭეთ ფეხით სიარულს და არა ტრანსპორტს. დილა დაიწყეთ თუნდაც ხანმოკლე ვარჯიშით. ეცადეთ, თავიდან აიცილოთ სტრესული სიტუაციები და დაიცვათ კვების სწორი რეჟიმი. მარტივი მასაჟის დახმარებით განიმტკიცეთ სისხლძარღვები. მასაჟის ჯაგრისით (ან მაგარი პირსახოციძ დაიზილეთ ტერფები და მტევნები, განსაკუთრებით ხანგრძლივი გასეირნების წინ. ასეთი მარტივი პროცედურა გააუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც დაგვეხმარება იოლად გადავიტანოთ სიცივე. და თუ ადრე ეს არ გაგიკეთებიათ, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გაიარეთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

სულაც არ გვეხუმრება

# სხვათა და სხვათა ფრაზები

● ორი ბოროტებიდან ნაკლებ ბოროტებას ირჩევენ და მერე საკუთარ ტყავზე გრძნობენ ამ ნაკლები ბოროტების ზრდის მთელ მშვენიერებას.

● ლაპარაკში ყველა კეთილსინდისიერებას იჩემებს, ოღონდ ეგ არის, რომ სინდისი სუყველას სხვადასხვანაირი აქვს.

● დილა ბევრად ბრძენია, ვიდრე საღამო, თუმცა ბევრად უფრო ახალგაზრდაა.

● ჩემი შეცდომა ის არის, რომ არასწორად ვთქვი, თქვენი კი ის არის, რომ სწორად გაიგეთ.



● ახსნა-განმარტებიდან: სკიპტრა ისე გვარიანად უთავაზეს თავში, რომ სახელმწიფო ხელიდან გაუვარდა.

● რა იყო, ამდენ ხანს რას აკეთებდი საპირფარეშოში?
— წარსულს ვეთხოვებოდი.
— ჩვენ კი რატომღაც ვიფიქრეთ, მომავალს ხომ არ ემშვიდობებაო.

● ჩვენს ახალ საპარიკმახეროში არა მარტო გაგკრეჭენ, კისერსაც აგიქაფებენ და კარგა გვარიანად გაგპარსავენ კიდეც.

● მართალია, შემთხვევით შევხვდით, მაგრამ მაინც ამ ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — თქვა აგურმა.

● ბიძაჩემს ძალიან უყვარდა ხორცი, ოღონდ პასუხგაუცემელი სიყვარულით.

● ჩემი ცოლი ნამდვილი ჯადოქარია! ეგრევე რობოტად მაქცია.

● — ვინ არის?
— აზრი ხარ?
— მერე, რატომ ზარი არ დარეკე?

● მტერი არ თვლემს! უკვე ხვრინავს კიდეც.

● დიდი აზრები მოდიან და მიდიან, თავი კი ისევე ისე რჩება.

● ზვიგენები მარტო თეთრები კი არ არიან. არიან კიდევ ფუმფულა თეთრები.

● თუ ავადა ხარ, მაგრამ ფული არა გაქვს — მედიცინა უძლურია.

● თუ გლოვაა, გლოვა იყოს, მხიარულებით ნუ ჩავიმწარებთ!

● უცნაურად გამჭვირვალე ღამეში ვცხოვრობთ — ყველაფერი თვალნათლივ ჩანს.

შეკრიბა
გურამ წიკლაურმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

ცოლმა ქმარს სთხოვა, მაღაზიაში წამომყევი, საახალწლოდ რამე-რუმეები ვიყიდოთო.
წავიდნენ. ცოტა ხანში ცოლმა შეამჩნია, რომ ქმარი ჩამორჩა.
— სადა ხარ, ძვირფასო? — დაურეკა მობილურით.
— აქა ვარ, ახლოს.
— მაინც, სადა?
— სად და, გახსოვს ის საიუველირო მაღაზია, საყვარელო, სადაც ბრილიანტის ყელსაბამი მოგეწონა? მაგრამ მაშინ ფული არ მქონდა და გითხარი, ერთ მშვენიერ დღეს გაყიდი-მეთქი, გახსოვს?
— როგორ არ მახსოვს, ძვირფასო! — გული აუჩქროლდა ცოლს.
— ჰოდა, იმ მაღაზიის გვერდით რომ ლუდის ბარია, იქა ვარ...



* * *

— კომუნიზმისას საკუთარი თვითმფრინავი მეყოლება! — ეუბნება ერთი ინტელიგენტი ოდესელი მეორეს.
— რად გინდა საკუთარი თვითმფრინავი?
— როგორ თუ რად, ჩემო კარგო! აი, ვთქვათ, კალუგაში ფქვილს არიგებენ. იქამდე კი სულ ორიოდე საათის საფრენია...

* * *

როდესაც ფეხქვეშ ფიანდაზივით გაგებებიან, უბრალოდ, საცოდაობაა რომ ზედ ფეხი არ შეიწმინდო.

* * *

ნუ გეშინიათ იმისა, რომ თქვენი ცხოვრება ოდესმე დამთავრდება.
გეშინოდეთ იმისა, რომ იგი არც ოდეს დაიწყება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24